

K 40.020  
2

ლარების გადასაცმელი

საქართველო  
1984 წლის 10 ეკ.

რეპი  
ჩატავავა  
ლენი  
ჭვები  
ვარდი



საკართველოს სსრ სოციალური მიწოდებისა და განვითარების  
 მინისტრის, გვივრაზოგადისა და გვლიცინისტრის  
 სამინისტრო-კოლეგის ინიციტუტი   
**ტექნიკური განვითარების**

**ნ. ღ 1 6 1 6 8 8 6 0 6**

# რვენის ღამეებავება სისხლის ყვითელი მარილით

K 40 020  
2



გამოცემულია „საგვორვა საკართველო“  
თარიღი — 1971

678.5

663.25

¤ 222

ლ'զնა ամի ՀՅ վե  
7

ԱՐՄԵՆԻԱ  
ՑՈՒՑԱԿԱՐՏԱ

ՑՇԱՄԵՐԻ Բարձրագույն պատճեն է առ-  
տը շնանց զամային և սենական պահպանություն մա-  
րդության լավագույն պահանջման համար պահպանություն է առաջ-  
բարձրացնելու համար առաջարկված է առաջ-  
բարձրացնելու համար առաջարկված է առաջ-

Отар Константилович Дарахвалидзе  
Обработка вин желтой кровяной солью

(на грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»,  
Тбилиси, Марджанишвили 5.

Тбилиси, 1971

## შ ე ს ა გ ა ლ ი

გამჭვირვალობა ღვინის ხარისხის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. მღვრიე ღვინო მომხმარებელს მის ბუნებრიობაში, სისალესა და სისუფთავეში აეჭვებს. ნიაღაგიძან ყურძენში ლითონები ისე მცირე რაოდენობით გადადის, რომ უარყოფით გავლენას ვერ ახდენს ღვინის გამჭვირვალობაშე. ამიტომ უმეტეს შემთხვევაში ღვინის ამღვრევა გარეშე წყაროებიდან მასში ჭარბად გადასული ლითონებითაა გამოწვეული.

ლითონური კასის (სიმღვრივის) თავიდან აცილების საუკეთესო საშუალება იქნებოდა ღვინის ტექნილოგიაში მანქანა-იარაღები და ჭურჭელი მზადდებოდეს ისეთი მასალები: საგან, რომელიც ღვინოს ლითონებით არ გააღდიდობდა. რაც პრაქტიკულად ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. ამიტომ კასის თავიდან აცილებისათვის ჭარბი ლითონების გამოლექვას მიმართავენ.

ღვინოში მძიმე ლითონების შემცირების მრავალი მეთოდი არსებობს. ყველაზე უფრო ეფექტურია: კასის ხელოვნურად გამოწვევა, ფიტინით დამუშავება, იონმცვლელ ფის-ში გატარება, ლიმონმჟავას დამატება და სისხლის ყვითელი მარილით დამუშავება.

ლითონური კისის წარმოსაქმნელად მიშართავენ გვიშნე  
ძლიერ დაუანგვას, ზოგიერთ შემთხვევაში უმატებენ ტანიში,  
აციებენ და გაწებავენ. ამ მეთოდით დამუშავებულები უჭირ  
შველოდ მცირდება რკინა და ღვინოც დაზიანდება ჩრდილო  
ხელახალი ამღვრევისაგან. ამასთან, ძლიერი დაუანგვა ღვი-  
ნის ხარისხშე უარყოფით გავლენას ახდენს.

უკანასკნელ წლებში ღვინიდან გამოსალექად ეძებენ ის-  
ეთ არატოქსიკურ ნაერთებს, რომლებიც უარყოფითად არ  
იმოქმედებენ ღვინის ხარისხშე. ასეთ ნაერთებს ეკუთვნის  
ფიტინი. იგი სავსებით უვნებელია და შეიძლება მისი სტა-  
ნდარტული დოზებით ხმარება. ფიტინი სამვალენტოვან რკი-  
ნასთან უხსნად ნაერთებს წარმოქმნის და ღვინიდან თეთრი  
ნალექის სახით გამოიყოფა. აქვს უარყოფითი მხარეც —  
ძნელდება ღვინიდან მისი მთლიანად მოცილება. გარდა ამი-  
სა, იგი გამოლექავს მხოლოდ სამვალენტოვან რკინას, ორ-  
ვალენტოვანი კი სხვა ლითონებთან ერთად ღვინოში რჩება  
და მის ამღვრევის იწვევს..

იონმცველ ფისებს ღვინის ამღვრევისაგან დაცის შა-  
ზნით ცოტა ხანია რაც იყენებენ. იონმცველი ფისები  
გამოყენებით შესაძლებელია ღვინოში რკინისა და სპილენძის  
მინიმუმამდე შემცირება. იონმცველ ფისებს ღვინოში  
არსებული ელემენტების ხელეჭრულად შთანთქმის უნარი  
არა იქვს, ამიტომ მათი გამოყენება ნებადართული არ არის.

რკინის კასის თავიდან აცილების ყველაზე მარტივი სა-  
შუალებაა ღვინოში ლიმონეავს შეტანა. იგი სამვალენტოვან  
რკინასთან ხსნად კომპლექსურ ნაერთს წარმოქმნის. თუ ღვი-  
ნოში დიდი რაოდენობითაა რკინა, აუცილებელია მასში  
ლიმონმჟავას საგრძნობი რაოდენობით (2გ/ლ და შეტი) შე-

ტანა. ასეთი ღოზა კი უარყოფითად მოქმედებს ლვინის ხა-  
რისხშე. გარდა ამისა, ღვინოში სპილენძის, უსაფრთხოების  
ლიმონმჟავა სპილენძის კასის წარმოქმნას ხელში მდგრადი შედეს.

მართალია, ღვინის დამუშავების ზემოაღნიშნულ მეთო-  
დებს გარკვეული უარყოფითი მხარეები აქვს, მაგრამ მათი გ-  
მოყენება ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში სავსებით შეს-  
ძლებელია და ღვინოს ამღვრევისაგან იცავს. კველა პირობე-  
ბში ლითონების სიჭარბით გამოწვეული სიმღვრევისაგან  
ღვინის დაცვა მხოლოდ სისხლის ყვითელი მარილით დამუ-  
შავების გზით შეიძლება.

## ზოგადი ნაშილი

სისხლის ყვითელი მარილი — კალიუმის ფერნოციანიდი,  
ანუ კალიუმის ჰექსაციანოფერატი  $K_4[Fe(CN)_6] \cdot 3H_2O$  ფე-  
როციანწყალბადმჟავას კალიუმის კომპლექსური მარილია.  
წინათ იგი ხორცის წარმოების ნარჩენებისაგან, უმთავრე-  
სად, კალიუმის კარბონატთან და რკინის ფზვნილთან გა-  
შრალი სისხლის გავარვებისთვის მიიღებოდა. აქედან წარმოს-  
დგება მისი ტექნიკური სახელწოდება — სისხლის ყვითელი  
მარილი.

სისხლის ყვითელი მარილი ლია ყვითელი, პაერზე მდგრა-  
დი კრისტალებია. წყალში აღვილად ისსნება ( $10^{\circ}$ -ზე  
—  $17,5\%$ ,  $20^{\circ}$ -ზე —  $22,4\%$ ). დისოციაციის შედეგად იძლევა  
 $K^{+}$  და მდგრად  $[Fe(CN)_6]^{4-}$  იონებს. პრაქტიკულად ასეთი ნაე-  
რო სრულიად არ შეიცავს  $Fe^{2+}$  და  $(CN)^-$  იონებს და არც ორ-

ვალენტოვანი რკინისათვის დამახსინათებელ რეაქციას იძლევა. კალიუმის ფეროციანიდი მაღალმეტავიან პროცესში შეღწიუვა მომწამლავ ციანწყალბადმეტამდე იშლება. პროცესში ციანწყალბადმეტავია სასიცვდილო დოზაა ადამიანისათვის, კალიუმის ფეროციანიდი კი საწამლავი არ არის. მას მცირე დაზებია ცენებები თორქმელებით დაავადებისა და სპილენძით მოწამვლის შემთხვევაში. იგი სუსტ მუავე არეში წარმოქმნის ლურჯი ფერის უხსნად ნაერთს — ბერლინის ლაუვარდს, რომელიც ტექნიკაში მინერალური სალებავებისა და სხვა ნაერთების დასამზადებლად გამოიყენება, ხოლო ანალიზურ ქიმიაში — სამვალენტოვანი რკინის აღმოსაჩენად.

გერმანელმა ენოლოგმა მესლინგერმა დვინიდან რკინის გამოლექების მიზნით სისხლის ყვითელი მარილის შესწავლა შე-19 საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. 1903 წელს პირველი ექსპერიმენტები აწარმოა, ოთხი წლის შემდეგ კი სისხლის ყვითელი მარილით დამუშავა რამდენიმე ათასი დეკალიტრი ღვინო. მესლინგერის ლაბორატორიული და საწარმოო ცდების წარმატების მიუხედავად, დაშლის შემთხვევაში ძლიერ ტოქსიკური ციანწყალბადმეტავის წარმოქმნის შიშით, კანონი არ იძლეოდა მეღვინეობაში ვისი გამოყენების უფლებას.

1922 წელს ქ. ფრეინბერგში მეღვინეობის საერთაშორისო ბიუროს სესიაზე საჭაროდ განიხილეს მესლინგერის მიერ შემუშავებული მეთოდი. მოხსენებით გამოვიდა კლინგერი (ქ. ნორსტეტიდან), რომელმაც დაასაბუთა სისხლის ყვითელი მარილით ღვინის დამუშავების უსაფრთხოება და ლითონური კასის თავიდან აცილების მიზნით მისი გამოყენების შესაძლებლობა.

იმავე წელს გერმანიაში მიიღეს კანონი სისხლის უვი-  
თელი მარილით დამუშავების მესლინგერის წესის გამოყენ-  
ების შესახებ. მას შემდეგ ეს წესი ფართოდ განვიტრინა.

საბჭოთა კავშირში ამ მარილის გამოყენების ჩიტიანტორის  
გამოხენილი ენოლოგი ა. ფრთლოვ-ბაგრევი. მან 1928 წელს  
წამოაყენა წინადადება მშრალი თეთრი ლვინოების სისხლის  
ყვითელი მარილით დამუშავების შესახებ. მეღვინეთა 1938  
წლის საკავშირო თათბირის წინადადებით სახეომსაბჭომ  
დამტკიცა მეღვინეობაში სისხლის ყვითელი მარილის გამო-  
ყენების პროექტი.

სისხლის ყვითელი მარილით ლვინის დამუშავების მთა-  
ვარი მიზანია ჟარბი რკინის გამოლექვა, რაღაც მრავალი შეც-  
ნიერული გამოკვლევა და პრაქტიკული დაკვირვება აღასტუ-  
რებს, რომ ლვინის ამლვრევას რკინის სიჭარბე უწყობს ხელს.

რკინა, ორგანული მარილების სახით, ყურძნიდან ლვინო-  
ში მცირე რაოდენობით (1,2-დან 3,7 მგ/ლ-მდე) გადადის, მაგ-  
რამ, თუ რკინა სხვა წყაროდან მოხვდა, ლიტრზე 120 მგ-  
მდეც კი აღწევს.

ლვინოში რკინის რაოდენობა დამოკიდებულია ყურძნის  
დამუშავებძა წესზე. მაგალითად, ლაბორატორიაში ხელით  
გამოწეხებილი ტკბილი შეიცავს 5 მგ/ლ რკინას, წარმოებაში — 11-12, განუწყვეტელი ქმედების წნევიდან მიღებული  
ტკბილი — 20-22, კასრებში დადუღებული ლვინო — 2-18,  
ცემენტის რეზერვუარებში დადუღებული ტკბილი კი —  
22-14 მგ/ლ.

სისხლის ყვითელი მარილით რკინისთან ერთად ლვინოში  
მოხვედრილი ორგანიზმისათვის საშიში სპილენძის, თუთიი-  
სა და ტყვიის ნაერთებიც გამოილექვება.

ტკბილსა და ღვინოში, რეინასთან შედარებით, სპილენძი  
მცირე რაოდენობით იხსნება, მისი ხსნადობა წითელქუმარი — თუ  
ღვინო გოგირდოვანმეავას დიდი რაოდენობის შეიცვალს. სპილენძი  
შეიძლება ნიადაგილან მცენარის მიერ შეწოვის გზი-  
თაც მოხვდეს. ამ შემთხვევაში სპილენძი არ აღემატება 0,5  
მგ/ლ, მაგრამ შეიძლება ვაზის მავნებლების წინააღმდეგ სპი-  
ლენძის შემცველი ქიმიკატების გამოყენების გამო მან მიაღ-  
წიოს 3 მგ/ლ, სპილენძის აპარატურის ან ჭურჭლის გამოყე-  
ნების შემთხვევაში კი გადააჭირდოს 5—8 მგ/ლ.

ტკბილის ალკოჰოლური დუღილის დამთავრებისას სპი-  
ლენძის დიდი ნაწილი გამოილექება და ღვინოში ჩინე-  
ბიღა რჩება. ღვინოში სპილენძის ჭარბი რაოდენობა სუფთა  
სპილენძის ან მისი შენადნობებისაგან დამზადებული მანქანა-  
იარაღების ნაწილების ღვინოსთან შეხებით იქნება გამოწვეული.

სპილენძის მარილები მომწამვლელია და ღვინოს ლითონის  
გემოს სძენს. სტერილურად ჩამოსხმული ტკბილიდან სპილენ-  
ძის გამოლექვა აუცილებელია, რადგან ასეთი ტკბილი აღარ გა-  
ნიცდის. ალკოჰოლურ დუღილს, რომლის დროსაც სპილენძი  
საფუვრის უჯრედების მიერ შთაინთქმება და გამოილექება.

სპილენძი დიდი რაოდენობით გვხვდება ნაქაზ ღვინოებში,  
განსაკუთრებით დუღილის დაწყებამდე დაწმენდილი ტკბი-  
ლის ლექიდან მიღებულ ღვინოებში. დიდი რაოდენობით სპი-  
ლენძის შეიცავს აკრეთვე საფუვრებიდან გამოწენებილი წვენი.

სპილენძის ღვინიდან სისხლის ყვითელი მარილით გამო-  
ლექავენ. ამ მარილთან იგი მოწითალო-მოყავისფრო ნალექს  
იძლევა. სისხლის ყვითელი მარილის შეტანით ღვინიდან  
სპილენძი გამოილექება თუთიის შემდეგ და რეინაზე უფრო  
ადრე, ე. ი. დამუშავებულ ღვინოში სპილენძი აღარ რჩება.

სპილენძის შემცველი ღვინო დაზღვეული პრ არის მა. /  
ღვრევისაგან — სპილენძის კასისაგან. სპილენძის კასი ძლიერ  
წაგავს რეინის თეთრ კასის, მხოლოდ უფრო გვიჩვენთ წარმოქმნას. ეს კასი კა  
ქმნება და ხშირად მზა პროდუქციის ამღვრულობას. მაგრამ ეს კასი კა  
ხდება.

სპილენძის კასი თეთრი კასისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი სპილენძის ძლიერ მცირე რაოდენობით არსებობის  
შემთხვევაშიც შეიძლება წარმოიქმნას. სპილენძის კასი მზის  
სხივების მოქმედებით ძლიერდება, რეინის კასი კი ქრება.  
ღვინის გაქარვით რეინის კასი ძლიერდება, სპილენძის კა  
სით ამღვრული ღვინო კი იწმინდება.

შესაძლებელია, ღვინოში ერთდროულად ჰარბი რაოდე-  
ნობით იყოს როგორც რეინი, ისე სპილენძი. თუ ასეთი ღვი-  
ნო გაიქარება და უანგბადი შეიერთებს, მისი უანგვითი პო-  
ტენციალი გაიზრდება, რაც ორგალენტოვანი რეინის სამ-  
ვალენტოვნად დაეთვალისწინება. დაუანგული რეინია  
ორგალენტოვან რეინასთან შედარებით უფრო აქტიურად  
უერთდება ღვინის შემაღენელ კომპონენტებს და წარმო-  
ქმნის უხსნად ნაერთებს, რითაც ღვინო იმღვრევა. თუ ღვი-  
ნოს ჰერმეტულად თავდახურულ ჭურქელში მოვათავსებთ,  
არსებული უანგბადის მოხსარების შემდეგ, ალდგენითი პრო-  
ცესების გამო, რეინი მთლიანად აღდგება, რეინის კასი გა-  
ქრება და ღვინო გამჭვირვალობას მიიღებს.

ძლიერი ალდგენითი პროცესების დროს ორგალენტოვანი  
სპილენძი ქვეუანგად გადაიქცევა, ეს უკანასკნელი გოგირდო-  
ვანმექავას აღადგენს გოგირდწყალბადამდე, გოგირდწყალბადი  
სპილენძის უანგთან წარმოქმნის უხსნად ნაერთებს, რაც  
კვლავ ღვინის ამღვრული გამოიწვევს.



ამრიგად, უანგვითი პროცესების დროს ადგილი აკვთ  
რეინის უანგის მარილების წარმოქმნას, აღდგურების მცხოვრებ  
სების დროს კი — სპილენძის უხსნადი მარტინების წესის  
ქმნას. ღვინო ორივე შემთხვევაში იმდერევა. ღვინის უანგვა-  
აღდგენითი პროცესების შეჩერება თითქმის შეუძლებელია.

ღვინის წარმოებაში გამოყენებული მანქანა-იარაღების  
ნაწილები ხშირად თუთიის შემცველელი თითბრის ან თუთიი-  
სა და სპილენძის შემადგენლობისაგან შეადგება. თუთა  
გამოიყენება აგრეთვე რკინის დასაფარავად. საჭიროა, გავა-  
რჩიოთ მოთუთიება (თუთიით დაფარვა) მოკალეისაგან (კა-  
ლით დაფარვა). ტკბილისა და ღვინის დამზადებისას მოკა-  
ლული საგნების გამოყენება დასაშვებია, ხოლო მოთუთიე-  
ბულის — საშიში. ხშირად ალუმინის შენაღნობისაგან დამ-  
ზადებული ჭურჭელი შეიცვას თუთიას, რომელიც ღვინოში  
გადადის. თუთა ადვილად იხსნება მეავე სნარებში. მისი  
ყველა მარილი საწამლავია, ამიტომ იქ, სადაც შესაძლებე-  
ლია, ტკბილთან და ღვინოსთან მის შეხებას უნდა ვერიდოთ.

თუთია დუღილის შედეგად-არ გამოიღება. იგი ღვი-  
ნოში რჩება და მას არასასიამოვნო გემოს სძენს. დიდი რა-  
დენობით თუთიის შემცველი ღვინის ნორმალური მიღებაც  
კი კუჭის აშლასა და გულის რევას იწვევს.

სისხლის ყვითელი მარილით დამუშავებისას თუთია სპი-  
ლენძებე, რკინასა და მანგანუმზე ადრე გამოილექება, რაღ-  
გან სისხლის ყვითელ მარილთან მისი ნაერთები სხვა ლითო-  
ნებთან შედარებით უფრო მდგრადია. ამ მარილთან იგი  
თეთრ ფიფქისმაგვარ ნაერთს იძლევა. არის შემთხვევები, რო-  
დესაც ლექი მარტო თუთიის მარილებისაგან შედგება, რაც  
ღვინოში მისი დიდი რაოდენობით არსებობის მაჩვენებელია.

სისხლის ყვითელი მარილით დამუშავების შედეგად ღვიძე  
ნის გემოს გაუმჯობესება განსაკუთრებით შესამჩნევად და  
დამუშავებამდე ღვინო დაიდი რაოდენობით შემცირდება—  
თიას. ასეთი ღვინის სისხლის ყვითელი მარილით დაშუქებულია—  
სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისითაც გამართლებულია—  
ღვინო თუთიის ტოქსიური მარილებისაგან მთლიანად თავი-  
სუფლდება.

სუფთა კალა ღვინოში ძალიან მცირე რაოდენობით ის-  
სნება, რაც იწვევს სიმღერიეს. თუ მოკალული ჭურჭელი  
ხმარების შემდეგ კარგად არ გაირეცხა და მშრალ ადგილზე  
არ შეინახა, მასზე ღვინოში შემავალი ძლიერ განზავებული  
მეავები დარჩება. ღვინის ქარხნებში ჰაერში ყოველთვის  
არის გოგირდოვანმეავას ანჰიდრიდი, რომელიც ჰაერის ეანგ-  
ბადთან და ღვინოში შემავალ მეავებთან ერთად კალის  
ღვინოში გახსნას ხელს უწყობს. ამიტომ აუცილებელია,  
კალით დაფარული ყველა ხელსაწყოსა და ჭურჭლის საფუ-  
ძლიანი გარეცხვა როგორც ხმარების წინ, ისე მის შემდეგ  
და მათი მშრალ ადგილზე შენახვა. ამ პირობების დაცვა  
უფრო მეტად საჭიროა თუთიის, სპილენძის, რკინისა და  
ალუმინის შემცველი ჭურჭლისა თუ მანქანა-იარალების ხმა-  
რების დროს.

ღვინის, შამპანურის ან ტკბილის სისხლის ყვითელი  
მარილით სწორად დამუშავების შედეგად ტემპერატურის  
ცვალებადობა მათ გამჭვირვალობაზე მცირე გავლენას ახ-  
დენს. თუ გაცივების შემდეგ ღვინის ქეა მაინც გამოალექა,  
მაშინ მძიი კრისტალები სუფთა, თეთრი ფერისა იქნება და  
სითბოზე შენახვისას ღვინოს ალარ აამღვრევს.

ცილოვანი სიმღერივე, რომელიც წარმოიქმნება თბილ-

ადგილზე ღვინის შენახვის შედეგად ამ პასტერიზაციის  
დროს, სისხლის ყვითელი მარილით დამუშავებულ ტუნისტების  
უფრო იშვიათია. ასეთი ღვინის გამჭვირვალობა უკეთეს  
რჩება. შეიძლება გამონაკლისს წარმოადგენდეს არახელსაყ-  
რელ ბუნებრივ პირობებში მიღებული ცილოვანი ნივთიერე-  
ბებით მდიდარი ღვინოები. ამ შემთხვევაში აუცილებელია  
სისხლის ყვითელ მარილთან ერთად ღვინის ბენტონიტოვანი  
თიხებით დამუშავება.

სისხლის ყვითელი მარილისა და ლითონების ურთიერთ-  
მოქმედებით დიდი ზედაპირის მქონე კოლოიდური ნაერთე-  
ბი წარმოიქმნება. ეს ნაერთები ადსორბციითა და მექანიკუ-  
რი მოქმედებით დალექვის პროცესში სხვა შეტივტივებულ  
მექანიკურ ნაწილაკებსაც თან იტაცებს, რისთვისაც სისხლის  
ყვითელი მარილით დამუშავებას გაწებვასაც უწინდებენ.

ღვინოში სისხლის ყვითელი მარილის შედეგად  
წარმოქმნილი ბერლინის ლაუვარდის კოლოიდების გამოლე-  
ქვა ნაწილობრივ ათავისუფლებს ღვინის ბაქტერიებისაგან. ამ  
მარილით დამუშავება და გაფილტვრა საშუალებას იძლე-  
ვა, ღვინი მიკრობრგანიზმებისაგან მთლიანად გავათავისუ-  
ფლოთ. სისხლის ყვითელი მარილი გამოლექავს ლაბილურ  
აზოტს და ამით ბაქტერიების საკვებ არეს ამცირებს.

კარგი შედეგია მიღებული სისხლის ყვითელი მარილით  
წითელი ღვინოების დამუშავებისას, თუმცა ეს უკანასკნელი  
ოდნავ კარგივს შეფერილობას, მაგრამ სამაგიეროდ სუფთა  
წითელ ტონს და გამჭვირვალობას იძენს, უმჯობესდება ღვი-  
ნის ორგანოლეპტიური მაჩვენებლები. ასევე კარგი შედე-  
გებია მიღებული სადესერტო და ტებილი ღვინოების სის-  
ხლის ყვითელი მარილით დამუშავებისას.

კრიალა სიწმინდე განსაკუთრებით აუცილებელია ხა-  
ვოთა შამპანურისათვის. მდგრადი გამჭვირვალობის შამპანუ-  
რის მიღება მისი ღვინომასალის სისხლის ყვითელზე მარილის  
დამუშავებას მოითხოვს. ეს მარილი, გამოლექვიდან წარმატება  
ნური ღვინომასალიდან ლითონებს, ხელს უშლის ღვინოში  
უანგვითი პროცესების წარმართვას და ღვინის საღებავ ნი-  
ვთიერებებს დაფანგვისაგან იცავს. სისხლის ყვითელი მარი-  
ლით დამუშავებული ღვინომასალებიდან დამზადებული  
შამპანური გამჭვირვალობასა და დაუკანგავი ღვინისათვის  
დამახასიათებელ ოდნავ მომწვანო ლია ჩალისფერს დიდ-  
ხანს ინარჩუნებს.

სისხლის ყვითელი მარილით ღვინის დამუშავება ნება-  
დართულია გერმენიაში, ავსტრიაში, უნგრეთში, ლუქსემბურგში,  
ოუგანდავიაში, საბერძნეთში, ჩილესა და სამკოთა კავშირში.  
კანონით ნებადართული არ არის იტალიაში, პორტუგალიაში,  
ოურქეთში და ტუნისში. საფრანგეთში 1955 წელს გამოც-  
დის მიზნით ორი წლით იქნა დაშვებული, მაგრამ სხვადასხვა:  
მკვლევარებისა და მეღვინების შეუთანხმებლობის გამო  
საფრანგეთში ამ მარილით ღვინის დამუშავება აურდა-  
ლულია.

პ. კოჩერგას მონაცემების მიხედვით, სისხლის ყვითელი  
მარილი 27-მდე ლითონთან წარმოქმნის  $Me[Fe(CN)_6]$ -ის  
სახის ნაერთს, სადაც  $Me$  ლითონის პირობითი აღნიშვნაა.  
პ. ბერინგერის აზრით, ეს მარილი ღვინოში არსებულ ლი-  
თონებთან სხვადასხვა სისწრაფით წარმოქმნის უხსნად ნაე-  
რთებს. ყველაზე სწრაფად იერთებს თუთიას, შემდეგ სპი-  
ლენს, რკინას, ნიკელს, კობალტსა და ბოლოს მანგანუმს.  
იგივე ავტორი მიუთითებს, რომ სისხლის ყვითელი მარილი



ಶ್ರೇಣಿಕ್ಕಿನ ಲ್ಯಾಪ್‌ಗಾರ್ಡ್‌ಲೆಟ್ ಪತ್ರಿಕೆ (ಡಿ. ಡಿ. ವಿಜಯಕುಮಾರ್ ಮಹಿಂದ್ರಾಜ್) ಅಂಗ

ಶೈಕ್ಷಣಿಕ ಸಾ- ಭೇದಿಸಿದ್ದಾ	ಶೈಕ್ಷಣಿಕ ಸಾ- ಭೇದಿಸಿದ್ದಾ	ಫಿಲ್ಮ್‌ಫಿಲ್ಮ್	ಬಿಂಬಿಕಾರ್ಥಿ
ಬೀಂಬಿಕಾರ್ಥಿ	ಫೋರ್ಮಲ್‌ಪ್ರೊಟ್‌ ಎಂಫೆಲ್‌ಫೆಲ್‌ ಎಂಫೆಲ್‌ ಎಂಫೆಲ್‌	HFe <sup>3+</sup> [Fe(CN) <sub>6</sub> ] <sup>4-</sup>	ಫೋರ್ಮಲ್‌ಪ್ರೊಟ್‌ ಎಂಫೆಲ್‌ಫೆಲ್‌ ಎಂಫೆಲ್‌ ಎಂಫೆಲ್‌
ಬೀಂಬಿಕಾರ್ಥಿ	ಫೋರ್ಮಲ್‌ಪ್ರೊಟ್‌ ಎಂಫೆಲ್‌ಫೆಲ್‌ ಎಂಫೆಲ್‌ ಎಂಫೆಲ್‌	KFe <sup>3+</sup> [Fe(CN) <sub>6</sub> ] <sup>4-</sup>	ಫೋರ್ಮಲ್‌ಪ್ರೊಟ್‌ ಎಂಫೆಲ್‌ಫೆಲ್‌ ಎಂಫೆಲ್‌ ಎಂಫೆಲ್‌
ಬೀಂಬಿಕಾರ್ಥಿ	ಫೋರ್ಮಲ್‌ಪ್ರೊಟ್‌ ಎಂಫೆಲ್‌ಫೆಲ್‌ ಎಂಫೆಲ್‌ ಎಂಫೆಲ್‌	KFe <sup>2+</sup> [Fe(CN) <sub>6</sub> ] <sup>3-</sup>	ಫೋರ್ಮಲ್‌ಪ್ರೊಟ್‌ ಎಂಫೆಲ್‌ಫೆಲ್‌ ಎಂಫೆಲ್‌ ಎಂಫೆಲ್‌
ಬೀಂಬಿಕಾರ್ಥಿ	ಫೋರ್ಮಲ್‌ಪ್ರೊಟ್‌ ಎಂಫೆಲ್‌ಫೆಲ್‌ ಎಂಫೆಲ್‌ ಎಂಫೆಲ್‌	Fe <sup>3+</sup> [Fe(CN) <sub>6</sub> ] <sup>4-</sup>	ಫೋರ್ಮಲ್‌ಪ್ರೊಟ್‌ ಎಂಫೆಲ್‌ಫೆಲ್‌ ಎಂಫೆಲ್‌ ಎಂಫೆಲ್‌
ಬೀಂಬಿಕಾರ್ಥಿ	ಫೋರ್ಮಲ್‌ಪ್ರೊಟ್‌ ಎಂಫೆಲ್‌ಫೆಲ್‌ ಎಂಫೆಲ್‌ ಎಂಫೆಲ್‌	Fe <sup>2+</sup> [Fe(CN) <sub>6</sub> ] <sup>3-</sup>	ಫೋರ್ಮಲ್‌ಪ್ರೊಟ್‌ ಎಂಫೆಲ್‌ಫೆಲ್‌ ಎಂಫೆಲ್‌ ಎಂಫೆಲ್‌

ალუმინთან, ტყვიასთან, კალისთან და ვერცხლითან ქრისტენ  
ნაერთებს არ წარმოქმნის, აღნიშნულ ლითონების როგორული  
ბერლინის ლაქვარდის კოლოიდები გამოლექტურული იმუსი


ლინიში სხვა ლითონებთან შედარებით უფრო მეტი  
რაოდენობით არის რკინა და ამიტომ სისხლის ყვითელი მა-  
რილით დამზადების დროს მთავარი უფრადლება რკინისა  
და ამ მარილის ურთიერთოქმედებით წარმოქმნილი ნაე-  
რთების შესწავლის ეჭიელი.

სისხლის ყვითელ მარილზე სამვალენტოვანი რკინის  
მოქმედებით ლურჯი ფერის კომპლექსური მარილი — ბე-  
რლინის ლაქვარდი წარმოქმნება. ბერლინის ლაქვარდს  
უწოდებენ არა ერთ რომელიმე გარკვეული შედგენილობის  
ნაერთს, არამედ რკინისა და ფეროკიანწყალბადმჟავას სხვა-  
დასხვა შედგენილობის ნაერთებს (1-ლი ცხრილი).

როგორც 1-ლი ცხრილიდან ჩანს, სამვალენტოვანი რკი-  
ნის იონების ჭარბი რაოდენობისას უსსნადი ბერლინის ლა-  
უვარდი წარმოქმნება, ხოლო ხსნარში სამვალენტოვანი  
რკინისა და ფეროკიანიდის იონების ეკვივალენტური რაო-  
დენობისას ან ფეროკიანიდის სიჭარბის შემთხვევაში —  
ხსნადი ბერლინის ლაქვარდი.

დ. დავითონის აზრით, ბერლინის ლაქვარდის წარმო-  
ქმნა განსაზღვრულ დროს მოიხსოვს. იმის დასამტკიცე-  
ბლად მან ითო 0, 0002 ნორმალობის სისხლის ყვითელი  
მარილისა და ამავე ნორმალობის რკინაამონიუმის შაბის  
 $\text{NH}_4 \cdot \text{Fe}(\text{SO}_4)_2 \cdot 12 \text{ H}_2\text{O}$  ხსნარები. ამ ხსნარების  
ერთმანეთში შერევის შედეგად სითხე პირველად ყვითლად  
შეიფერა, შემდეგ სწრაფად გადავიდა მწვანე ფერში და  
ბოლოს ლურჯი ფერი მიიღო. ეს რეაქცია ერთ წუთს გაგ-

რძელდა. სამჯერ ძლიერი ნორმალობის ხსნარების, შემოხვევაში რეაქცია ერთ წამში დამთავრდა. ხსნარების შემცირების ული ნორმალობის ერთი მესამედით შემცირებული წესი შეუძლია ერთ საათს გავრძელდა. ამ მოვლენას დ. დავიდსონი იმით ხსნის, რომ სისხლის ყვითელი მარილისა და სამვალენტო ტოვანი ჩაინის ურთიერთმოქმედებისას პირველად კალციუმის ციანგებაზიდი იქანვება ფერიციანიდად (სისხლის წითელი მარილი), სამვალენტოვანი რკინა კი აღდგება  $\text{Fe}^{2+}$ -იდ. შემდეგ რეაქცია ისე მიმდინარეობს, როგორც ორვალენტოვანი რკინისა და სისხლის წითელ მარილს შორის:



ცნობილია, რომ, რაც უფრო მეტია ხსნარში იონთა კონცენტრაცია, მით უფრო სწრაფად წარმოებს რეაქცია და პირიქით — იონთა კონცენტრაციის შემცირების შესაბამისად რეაქციას სისწრაფე მცირდება. ღვინოში სისხლის ყვითელი მარილის შეტანისას რკინისა და ამ მარილის იონების დიდი კონცენტრაციის გამო ბერლინის ლაუვარდი სწრაფად წარმოიქმნება და ღვინო ლურჯად შეიცერება. მიუხედავად ამისა, ბერლინის ლაუვარდის წარმოქმნა დამთავრებული არ არის: ღვინოში რკინისა და ამ მარილის იონების შემცირების შესაბამისად მცირდება მათი ურთიერთშეჯახების სისწრაფე და რეაქცია ნელა მიმდინარეობს.

შეღვინეობის პრაქტიკიდან ცნობილია, რომ რკინის იონების მიერ ფერიციანიდის იონების სრული შებოჭვა განსაზღვრულ დროს მოითხოვს. ღვინოში ბერლინის ლაუვარდის მოლეკულები დისოცირდება და მოქმედებს, როგორც ელექტროლიტის გამოლექვისათვის კი.

საჭიროა საწინააღმდეგო მუხტის მატარებელი ითხის შე-  
რთება. ბერლინის ლაქვარდი კოლოიდური ფორმით წარ-  
მოქმნება. 3. ბერინგერის აზრით, pH 3,0—3,5-ს წარმოქმნება  
ფეროციანილის კოლოიდებს აქვთ დაღებითი მუტტი, — რეაქტუ-  
ლეინოში არსებულ კოლოიდებს — უარყოფითი. უარყო-  
ფითი და დაღებითი მუხტების გათანაბრების შემთხვევაში  
ფიქტისებური ნალექი წარმოქმნება.

✓ სისხლის ყვითელი მარილით ღვინის დამუშავება სხვა-  
დასხვა ქვეყანაში ტექნოლოგიის სხვადასხვა ეტაპზე ხდება.  
უნგრეთში ღვინოებს ამ მარილით პირველი გადაღებისთა-  
ნავე ამუშავებენ. აღრეული დამუშავებითა და ბოთლებში  
ჩამოსხმით უნგრელი მეღვინეები თავიანთ დაბალმეავიან-  
ლეინოებს არომატსა და სიხილისეს უნარჩუნებენ. ბუდა-  
ცეშტის ამჰელოგრაფიულ კვლევით ინსტიტუტში შეისწა-  
ვლეს ამ მარილით აღრეული დამუშავების გადაღებისთანავე  
სისხლის ყვითელი მარილით დამუშავება საუკეთესო შე-  
დეგს იძლევა.

ავსტრიაში, გერმანიასა და საბერძნეთში სისხლის ყვითე-  
ლი მარილით ღვინოს მეორე გადაღების შემდეგ ამუშა-  
ვებენ, თუ ღვინო მაღალმეავიანია, — უფრო გვიანაც.

საბჭოთა კავშირში სისხლის ყვითელი მარილით ღვინის  
დამუშავების პერიოდი განსაზღვრული არ არის. ✓

ა. ფროლო-ბაგრევის აზრით, ყველა ღვინო ლითონე-  
ბის შემცველობაზე უნდა ისინჯებოდეს. სისხლის ყვითელი  
მარილით უნდა დამუშავდეს მკვახე ან მოყინული ყურძნი-  
აგან. დამზადებული ჭარბი ლითონების შემცველი და არა-  
ასიამოვნო გემოს მქონე ღვინოები, რომლებიც განსაკუ-

თრებით ბევრ ცილოვან ნივთიერებებს შეიცავენ. სიმღვრე-  
ვის თავიდან აცილების საქმეში ამ მარილუფ, ჩაუზენელეფ  
შეშავების დადებით გავლენას ა. ფროლოფრეგულეფი ემჟუ-  
წერს ბერლინის ლაქვარდს, რომელსაც ცილოვანი ნივ-  
თიერებების ადსორბციისა და გამოლექვის უნარი აქვს. 7

8. გერასიმოვი მიუთითებს, რომ ამ მარილის გამოყენე-  
ბით განსაკუთრებული კრისტალური გამჭვირვალობისა და  
კარგი გემოს ღვინო მიიღება და იგი ახალგაზრდა ღვინოე-  
ბისათვის საუკეთესო გამწმენდი და ხარისხის გაუმჯობესე-  
ბის საშუალებაა.

9. მაიერ-ობერპლანს სისხლის ყვითელი მარილით დამუ-  
შავება ღვინის მდგრადი გამჭვირვალობის მიღწევის ერთ-  
ერთ საუკეთესო საშუალებად მიაჩნია. მისი ოზრით, ამ მა-  
რილით დამუშავების შედეგად შესაძლებელია ღვინოების  
ბოთლებში ჩამოსხმა განვითარების ყველაზე საუკეთესო  
პერიოდში, რადგან სიმღვრივის წარმოქმნის საშიშროება  
გამორიცხულია. სისხლის ყვითელი მარილი რკინისა და სპი-  
ლენის გამოლექვით ღვინოს იცავს ქიმიური წონასწორობის  
დარღვევებისაგან, რაც სხვა მეთოდით ღვინის დამუშავების  
დროს ვერ ხერხდება.

10. ვოველგვარი ტექნოლოგიური პროცესის ჩატარების შე-  
დეგად რკინა სხვადასხვა ფორმაში გადადის. უმნიშვნელო  
აერაცია ან გოგირდოვანმექავას ანჭირიდი ღვინოში აზ-  
ღვევს ქიმიურ წონასწორობას და მის ამღვრევას იწვევს. მცი-  
რე რაოდენობის სპილენდი ხელს უწყობს კასის განვითარე-  
ბას, დიდი რაოდენობა კი თვით წარმოქმნის კასს.

ლითონები ხელს უწყობს გოგირდოვანმექავას ანჭირიდის  
გოგირდმუავად დაეანგვას. ეს უკანასკნელი კი ღვინოს აზა-

სასიამოვნო მუზე გემოს აძლევს. თუ რკინა, სპილენძი თუთა გამოლექილია, მაშინ ღვინოში არსებულე რწყვეტები ღვინოში დოვანმუხავას ანპიდრიდი ღიდხანს რჩება თავის უფაფლი დარებით ნელა იქანგება და პროდუქციის გამჭვირვალობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

დაბალმედიანი ღვინოები ლითონების ოდნავი სიჭარბითაც კი იმღვრევა, ამიტომ ასეთი ღვინოებიდან ჭარბი ლითონების გამოლექვა აუცილებელია. გ. ტროისტი აღნიშნავს, რომ სისხლის ყვითელი მარილით დამუშავება ხელს უწყობს ღვინის დამწიფებას და ამიტომ ბოთლებში ღვინის ნააღრევა ჩამოსხმისათვის იგი წარმატებით გამოიყენება. ასეთი დამუშავება ნაწილობრივ ცვლის კასრებში ღვინის დაყოვნების ხანგრძლივობას, ე. ი. ღვინის დამწიფებას აჩვარებს.

სისხლის ყვითელი მარილით ღვინის დამუშავებას უარყოფითი მხარეებიც აქვს. ა. ფროლოვ-ბაგრევის აზრით, ეს პროცესი ღვინოს ყოველგვარი ამღვრევისაგან არ იცავს. გარდა ამისა, მართალია, მრავალი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება უარყოფს სისხლის ყვითელი მარილის ზომიერი შეტანის შედეგად ღვინოში ტოქსიკური ნაერთების წარმოქმნას, მაგრამ მარტო ის ფაქტი, რომ ამ მარილის მოლეკულა ძლიერ მომწამლავ ნაერთს — პილროციანმუხავას შეიცავს, ხშირ შემთხვევაში მისი გამოყენების აკრძალვის მიზნი ხდება.

პილროციანმუხავას წარმოქმნის საშიშროება განსაკუთრებით იზრდება იმ შემთხვევაში, თუ ღვინოში სისხლის ყვითელი მარილი ზედმეტი რაოდენობითაა შეტანილი. ამ ღრის ლითონების მიერ შეუმოვავად დარჩენილი სისხლის ყვითელი მარილი ღვინოში შემთხვევაში მისი გამოყენების აკრძალვის მიზნი ხდება.

ბით შეიძლება დაიშალოს და ჰიდროციანმეავა წარმოიქმნოს.  
ჰიდროციანმეავას შემცველი ღვინის გამოყენების შემთხვევა  
დაუშვებელია. იურმალულია კვების მრეწველობაში 1 სამართ  
სპირტიდ მისი გამოხდაც.

ბოლო ხანებში სისხლის ყვითელი მარილის გამოყენება  
არც ისე საშიშად ითვლება, როგორც ამას წინათ მოჩენე  
დნენ. მისი გამოყენების 45 წლის მანძილზე მოწამვლის არც  
ერთი შემთხვევა არ ყოფილა. უკანასკნელ ხანს გერმანიაში,  
უნგრეთსა და საბჭოთა კავშირში ნებაღართულია სისხლის  
ყვითელი მარილის ჭარბი რაოდენობით შემცველი ღვინოე-  
ბის გამოსწორება რეინით მდიდარ ღვინოებთან დაკუპაებით.

კ. ტარანტოლას უკანასკნელი ზონაცემებით (1963 წ.),  
ბუნებრივ პირობებში ერთი ლიტრი ღვინო 4-დან 140 მეტ-  
მდე თავისუფალსა და 5-დან 230 მეტ-მდე შებოჭილ ჰიდრო-  
ციანმეავას შეიცავს. სისხლის ყვითელი მარილით დამუშავე-  
ბის შედეგად ღვინოში მხოლოდ 3—6 მეტ/ლ ჰიდროციანმეავა  
წარმოიქმნება. ღვინოში 10 გ/ლ ჭარბი მარილის შეტანის  
შემთხვევაში, კ. ტარანტოლას შეხედულებით,  $20^{\circ}$  ტემპერატუ-  
რასა და 3,0—3,7 pH დროს 450—960 მეტ/ლ თავისუფალი  
და 300—350 მეტ/ლ შებოჭილი ჰიდროციანმეავა წარმოიქმნე-  
ბა. ამიტომ ამ მარილით დამუშავებისას ერთ ლიტრ ღვინოში  
ჰიდროციანმეავას სასიკვდილო დოზით (50 მგ) წარმოქმნა  
გამორიცხულია.

ა. ფრილოვ-ბაგრევი, როცა აღნიშნული მარილის ტოქ-  
სიკურობას ეხება, მიუთითებს, რომ ღვინოში გოგირდოვან-  
მეავას ანპიღრიდის შეტანა უფრო არასასურველია, ვიდრე  
ამ მარილისა.

პ. ბერინგერის მონაცემების მიხედვით, სისხლის ყვითელი

მარილის დაშლის შედეგად წარმოქმნილი პიდროციანმუხავას /  
ძლიერ მცირე რაოდენობაც კი ღვინის მძაფრი წუშის გვმოს  
აძლევს, რაც ორგანოლეპტიკურად აღვილად წუშიამზეშემდებარებული პიდროციანმუხავა ჰაერის უანგბადის ან სხვა წარმოქმნებელის  
ნაერთების მოქმედებით იშლება. გარდა ამისა, იგი უერთდე-  
ბა გოგირდოვანმუხავას ან პიდრიდის და ნაკლებ ტოქსიკური ხდე-  
ბა. პიდროციანმუხავა აქტოლადია და თუ მცირე რაოდენობი-  
თაა, ღვინის გაქარვით მისი მოცილება შესაძლებელია.

ყველა მეცნიერი, რომელიც კი სწავლობდა მელვინეობაში  
სისხლის ყვითელი მარილის გამოყენებას, მიდის იმ დასკვნამ-  
დე, რომ ჩვეულებრივი დოზით მისი ხმარება არ იწვევს პიდ-  
როციანმუხავას მნიშვნელოვანი რაოდენობით წარმოქმნას მა-  
შინაც კი, როდესაც დამუშავებული ღვინო ბერლინის ლაუვა-  
რდის ლექზე დიდხანს რჩება.

აღნიშნული წესის ერთ-ერთი ძირითადი უარყოფითი მხა-  
რე ის არძა, რომ ყოველი დასამუშავებელი ღვინისათვის  
ცალ-ცალკე და მეტისმეტად ზუსტად უნდა განისაზღვროს  
მარილის რაოდენობა და დასამუშავებელი ღვინის თოთოეულ  
პარტიას სათანადო კონტროლი უნდა გაეწიოს. სისხლის ყვი-  
თელი მარილის დოზის განსაზღვრა შრომატევადი სამუშაოა  
და კვალიფიციურ მუშახელს მოითხოვს.

სისხლის ყვითელი მარილით დამუშავების შედეგად ღვი-  
ნიდან გამოიყოფა ლურჯი ფერის ნალექი, რომელიც მხოლოდ  
ტექნიკური სპირტის ან სალებავების მისაღებად გამოიყენება.  
ეს გარემოება თუმცა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ზრდის  
პროდუქციის ღანაერგებს ტექნოლოგიური პროცესების  
დროს.

ბერლინის ლაუვარდი მყარად ეკვრის ჭურჭლის კედლებს,

რის გამოც ლვინის გადაღების შემდეგ ჰურუმლერ სხვადასწ  
რად უნდა დამუშავდეს.

ბერლინის ლაქვარდის გამოლექვა ხანდაპნ-ლიტერატურუ  
გრძელდება, ეს კი ტექნოლოგიური პროცესების გახანგრძლ  
ვების იწვევს. ლურჯი ფერის მოცილებისათვის საჭირო ხდ  
ბა დამატებითი გადაღებები, ზოგიერთ შემთხვევაში კი ღვ  
ნის გაფილტვრა. სწორედ ამის გამო არის, რომ ხშირად სი  
ხლის ყვითელი მარილის გამოყენებას ერიდებიან.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, ლვინის მდგრ  
დი გამჭვირეალობის მისაღებად, ბშირ შემთხვევაში, სისხლი  
ყვითელი მარილის გამოყენება აუცილებელია.





## ლვინის დაშუავებისათვის საპირო სისხლის ჟვითალი მარილის რაოდენობის დაზგანა

ლვინის დაწმენდის სისწრაფე და ხარისხი, ხშირ შემთხვე  
ვაში, გამწერავი ნიეთიერების სწორ შერჩევასა და მისი რაო  
დენობის ზუსტ განსაზღვრაზეა დამოკიდებული. ლვინის და  
მუშავებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სის  
ხლის ყვითელი მარილის რაოდენობის სწორ დადგენას. ლვ  
ნოში მარილი ისეთი რაოდენობით უნდა შევიტანოთ, რო  
მან შებოჭოს ის ლითონები, რომლებიც შემდეგ შეიძლება სის  
ღვრივის გამოშვევნი გახდნენ.

ა. ფროლოვ-ბაგრეევის მითითებით, ლვინოშე რეინის უა  
ყოფითი მოქმედების თავიდან ასაცილებლად მისი რაოდენო  
ბა ლიტრზე 4 მგ-ს არ უნდა აღემატებოდეს. პ. უნგურიანი  
გამოკვლევების მიხედვით, 6 მგ/ლ მეტი რეინის შემცველი ლვ  
ნოები თეთრი კასისაგან ღამილეული არ არის და ამიტომ მა-

სი რაოდენობა ლიტრში 2 მგ-მლე უნდა დავიყვანოთ, რაც  
ლვინოში შესატანი სისხლის ყვითელი მარილიერწყუტკვანტი არის  
საზღვრას მოითხოვს. ნაკლები რაოდენობით შეტანილერწყუტკვერც  
ლის ყვითელი მარილი მთლიანად ვერ გამოლექავს ჭარბ ლი-  
თონებს, ღვინოში 4 მგ/ლმეტი რკინა დარჩება და ღვინო ამ-  
ღვრევისაგან დაცული არ იქნება.

ა. ფროლოვ-ბაგრევევი ლითონებისა და სისხლის ყვითელი  
მარილის ურთიერთმოქმედებას ასე გამოხატავს:



3. კოჩერგა ფეროციანიდმევას სრულ მარილებს კათიო-  
ნების ვალენტოვნების მიხედვით ოთხ ტიპად ჰყოფს: ერთვა-  
ლენტოვანი ლითონების ნაერთები ფეროციანიდთან ქმნის  
 $M_{e^4}[Fe(CN)_6]$ , ორვალენტოვანი —  $M_{e^2+}[Fe(CN)_6]$ , სამვალენ-  
ტოვანი —  $M_{e^3+}[Fe(CN)_6]$ , და ოთხვალენტოვანი —  
 $M_{e^4}[Fe(CN)_6]$  ტიპის ნაერთებს.

მისი შეხედულებით, შეიძლება, ფეროციანიდის ორმაგი  
მარილები, ლითონების ვალენტოვნებისა და რეაქციის მიხედ-  
ვით, სხვადასხვა რაოდენობის კალიუმს შეიცავდეს. მაგალი-  
თად:

$M_e^{2+}K_2[Fe(CN)_6]$ ,  $M_e^{3+}K[Fe(CN)_6]$  ან  $M_e^{2+}K[Fe(CN)_6]$

ზემომცვევილი ფორმულებიდან გამომდევნებული ცუტული წილი სამვალენტოვანი რეინის გამოლექციულური წრეულები წილი კალიფეროციანიდია საჭირო, ხოლო ორვალენტოვანი სათვის — 7,564 ნაწილი.

სისხლის ყვითელი მარილი სხვა ნაერთებსაც წარმოქმნის სამვალენტოვან რეინისთვის კალიფეროციანიდმა შეიძლებოდეს წყალში ხსნადი ლურჯი ფერის ორმაგი მარილ  $FeK[Fe(CN)_6]$ , ორვალენტოვანთან კი — სრული მარილ  $Fe_2[Fe(CN)_6]$ .

სისხლის ყვითელი მარილი ღვინოში არსებულ თითქმის ყველა ლითონს უერთდება და ამიტომ დამუშავებისათვის მასი რაოდენობის სტექიომეტრული განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია.

ღვინის დასამუშავებლად სისხლის ყვითელი მარილის სწორი დოზის დადგენის პირველი ცდები მესლინგერს ეკუთვნის.

ფონ დერ ჰეიდემ შეაჯამა ამ საყითხის შესახებ მესლინგერისა და სხვა მეცნიერთა მონაცემები და 1926 წელს ჩამოაყალიბა ღვინის დამუშავებისათვის საჭირო სისხლის ყვითელ მარილის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდი, რაც შემდეგ აფრთხოვ-ბაგრევევმა გადმოიღო. ეს მათოდი მცირეოდენ ცვლილებებით საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირში 1946 წელს მიღებულ კანონსა და ამჟამად მოქმედ, 1965 წელს დაშრუიცებულ ინსტრუქციის.

ანალიზისათვის ნიმუშის აღება, სისხლის ყვითელი მარილის ზუსტი დოზის დასაღენად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დასამუშავებელი ღვინის ნიმუშის სწორად აღ-

ბას. ცნობილია, რომ უძრავ მდგომარეობაში ღვინის სხვა დასხვა ფენა სხვადასხვა რაოდენობით შეიცავს რეინას, ამიტომ ნიმუშის აღების წინ ღვინის პომოგენიზაციაში ქმედდება გვაროვნება აუცილებელია.

ანალიზისათვის ღვინის ნიმუში უნდა ავილოთ არანაკლები ნახევარი ლიტრისა, სულთა, მშრალ მინის ჭურჭელში. ნიმუშის აღება ლითონის ხელსაწყოთი ან ლითონის ონკანიდან აკრძალულია. ანალიზი ნიმუშის აღებისთანავე უნდა ჩატარდეს. თუ ღვინო მღვრიეა, ანალიზის წინ უნდა აირიოს ისე, რომ სიმღვრივის გამომწვევი ნაწილაკები ატივტივდეს და სითხეში თანაბრად განიწილდეს. ღრო ნიმუშის აღებიდან სისხლის ყვითელი მარილის ღვინოში შეტანამდე 6 საათს არ უნდა აღემატებოდეს.

ნიმუშის აღები, მისი ანალიზი, დამუშავებისათვეს საკირო სისხლის ყვითელი მარილის რაოდენობის გაანგარიშება, ხსნარის მომზადება და ცალკეულ პარტიებში მისი შეტანა უნდა აწარმოოს ლაბორატორიის მხოლოდ ერთი და ივივე თანამშრომელმა, რომელიც პასუხისმგებელია მოცემული პარტია ღვინის დამუშავებაზე.

თეორი ღვინის საცდელი დამუშავება. საამისოდ საჭიროა სისხლის ყვითელი მარილის გაანგარიშება ლაბორატორიაში საანალიზო ნიმუშის საცდელი დამუშავების საფუძველზე წარმოებდეს. საცდელი დამუშავებისა და საწარმოო კონტროლისათვის აუცილებელია შემღევი რეაქტივები:

1. 0,5 %-იანი სისხლის ყვითელი მარილის წყალსხნარი. ამ ხსნარის დასამზადებლად 100 მლ-იან საზომ კოლბაში ხსნაან 0,5 გ კალიუმის ფეროციანიდს, ნიშანხაზამდე ავსებენ წყლით და კარგად ურევენ. რადგანაც სხვადასხვა ჭურჭელში მო-

თავსებული სისხლის ყვითელი მარილის ფხვილი, მოში არსებული სინესტის გამო, ხშირად კრიტიკული ფქვები და დენობის თავისუფალ წყალს შეიცავს, პატივული მსუბუქი სამზადებლად რეაქტივს იღებენ იმ ქილიდან, რომლიც ლვინის საწარმო დამუშავებისათვის საჭირო ხსნარი დამზადდეს. დამზადებული რეაქტივი საზომი კოლბ გადააქვთ კონცენტრირებული კოლბაში, რომელსაც გარედან გაურვალე მასალა (სტანიოლი, შავი ქალალი, ფოლგა და აქვს შემოხვეული. რეაქტივი თვეში ერთხელ მაინც უნდა მოიცვალოს. სასურველია, კოლბას საცობის საშუალებელი 2—2,5 მლ-ითი მიკრობიურეტი, რომელ 0,01 მლ დანაყოფები აქვს;

2. 0,2 %-იანი ტანინის ხსნარი. ამ ხსნარის დასაშინ ბლად ლიტრიან საზომ კოლბაში 2 გ სუფთა ტანინს ს 100 მლ ცხელ წყალში, შემდეგ კოლბაში ასხამენ 500 წყალს და რეაქტიფიცირებული (96 % მოც.) სპირტით შანხაზამდე ავსებენ;

3. 0,2 %-იანი უელატინის ხსნარი. 2 გ წვრილად დაჭუფთა უელატინს ათასებენ ლიტრიან საზომ კოლბაში ფმატებენ 200 მლ წყალს. რამდენიმე საათის შემდეგ, რ საც უელატინი გაიგირჯვება, კოლბას წყლის აბაზა უელატინის გახსნამდე აცხელებენ, გაცივების შემდეგ 120 რეაქტიფიცირებულ სპირტს უმატებენ, რომელშიც წინა გახსნილია 8 გ ღვინომჟავა. კოლბას წყლით ნიშანხაზ ავსებენ და კარგად ურევენ;

4. სისხლის ყვითელი მარილისა და სისხლის წით მარილის —  $K_3[Fe(CN)_6]$  ხსნარი. ქიმიურ ს კურპელში ათავსებენ თითო გრამ ორივე სახის მარ-

უმატებენ 20 მლ წყალს და შენჯლრევით ხსნიან. ხსნარი ინა-  
ხება საწვეთურიან უფერული მინის ჭურჭელში. რეაქტივი  
დამზადებიდან 15 დღემდე ვარგისია, შემდეგ კი ძურული გამოსა-  
ცვალოს;

5. მარილმჟავას 2 ნორმალობის ხსნარი. 162 მლ მარილ-  
მჟავას (ხვ. წ. 1,19) ხსნიან 1ლ გამოხდილ წყალში;

6. რეინაამონიუმის  $[NH_4]_2 Fe(SO_4)_2 \cdot 12H_2O$  შაბის ხსნა-  
რი. მზადდება დაახლოებით 30 %-იანი მაძღარი ხსნარი.  
ჭურჭელს, რომელშიაც მოთავსებულია რეაქტივი, საწვეთური  
აქცენტის გაკეთებული.

თეთრი ღვინის საცდელი დამუშავებისათვის სისხლის  
ყვითელი მარილის დოზის დადგენა წარმოებს შემდეგნაირად:

ხუთ სინგარაში ათავსებენ ათ-ათ მლ საცდელ ღვინოს  
და თანმიმდევრულად უმატებენ 0,05, 0,10, 0,15, 0,20 და 0,25  
მლ სისხლის ყვითელ მარილის 0,5 %-იანი ხსნარს (რეაქ-  
ტივი 1), რაც ერთ ჰექტოლიტზ ღვინოში 2,5, 5,0 7,5 10,0,  
და 12,5 გ სისხლის ყვითელ მარილს შეექაბამება. თუ ღვი-  
ნოში რკინა დიდი რაოდენობითაა, სისხლის ყვითელი მარი-  
ლით დასამუშავებელ დოზას 2—3-ჯერ და მეტად ზრდიან.  
შემდეგ სინგარებში შეაქვთ დაახლოებით 1 მლ 0,2 %-იანი  
ტანინის ხსნარი (რეაქტივი 2) და ანჯლრევენ, უმატებენ  
1 მლ 0,2 %-იანი ეკლატინის ხსნარს (რეაქტივი 3) და კვლავ  
ანჯლრევენ.

ნალექის გამოყოფის შემდეგ, მაგრამ არა ნაკლები 10  
წუთისა, ხსნარს ფილტრავენ გლუვი ქაღალდის ფილტრში.  
თითოეული სინგარის ფილტრატს დაახლოებით ორ თანა-  
ბარ ნაწილებად ყოფენ და ერთნაირი ზომის უფერული მინის  
სინგარებში ასხამენ. სინგარებს ათავსებენ შტატივში ორ-

რიგად პირვანდელი თანმიმდევრობით. პირველი რიგის მო-  
ჯარებში ასხამენ თითო მღ მარილმჟავის ხსნარს (რეაქტ. 0,1  
5) და თითო წვეთ სისხლის ორივე სახის მძინალის ჩრდილო-  
აქტივი 4). სინჯარებში ლურჯი ან მწვანეუშვეტურების ჭრის მა-  
იმის მაჩვენებელია, რომ ღვინოში კიდევ არის დარჩენილი ცი-  
თონები, ხოლო თუ შეფერვა არ წარმოიქმნა, ლითონები მთავა-  
ახად გამოლუქებულია და კარბად სისხლის ყვითელი მარილი

მეორე ნაწილს ამუშავებენ 1 წვეთი რკინამონიურა  
შაბის (რეაქტივი 6) და 1 მღ 2 ნორმალობის მარილმჟავის  
ამ შემთხვევაში ლურჯი ფერის წარმოქმნა ჭარბი სისხლ  
ყვითელი მარილის მაჩვენებელია. შეფერვის წარმოქმნის  
საბოლოოდ 10—20 წუთის შემდეგ ამოწმებენ. უმჯობესა, 0,  
დროს სინჯარებს თეთრ ფონზე ზემოდან დაცხელის  
ორივე რიგის სინჯარებში წარმოქმნილი შეფერვის ინტ-  
ნსივობის მიხედვით მსჯელობენ სისხლის ყვითელი მარილი  
იმ რაოდენობის შესახებ, რომელიც ღვინიდან მძიმე ღი-  
თონების მთლიან გამოლუქვას უზრუნველყოფს ისე, რო-  
მასში ჭარბი რეაქტივი არ დარჩეს. მაგალითად, თუ პირვი-  
ლი რიგის პირველი და მეორე სინჯარა იძლევა რეაქტ-  
მძიმე ლითონების არსებობაზე, ხოლო შეორე რიგის მესა-  
და შემდეგი სინჯარები რეაქციის სისხლის ყვითელი მარილ  
არსებობაზე, მაშინ აღებული 10 მღ ღვინისათვის სისხლ  
ყვითელი მარილის სწორი დოზა 0,1-სა და 0,15 მლ-ს შორი-  
უნდა ვეძიოთ.

ამის შემდეგ წარმოებს მთავარი შემოწმება ისე, რო-  
გორც ზემოთ არის აღწერილი, მხოლოდ 0,5 % -იანი სი-  
ხლის ყვითელი მარილის ხსნარს უფრო მცირე ინტერე-  
ლებით იღებენ და იმ ფარგლებში, როგორც წინასწარ შე-

მოწმებისას. ჩვენი მაგალითისათვის ეს დოზები ქვემოთ მცნობია 0,1, 0,11, 0,12, 0,13, და 0,14 მლ. შემოწმების შედეგების შემთხვევაში ბაზისად ქვემოთ მოყვანილი ცხრილით (მე-2 ცხრილი) დამუშავებისათვის სასახლეში სახლვრავენ თითოეული დალი ღვინის დამუშავებისათვის საკირო სისხლის ყვითელი მარილის რაოდენობას და შემდეგ დასამუშავებელი ღვინის მთლიან რაოდენობაზე გაიანგარიშებენ.

მაგალითად, თუ მთავარი შემოწმებისას ლურჯად შეიფერა პირველი რიგის სამი სინჯარა და მეორე რიგის ბოლო სინჯარა, ხოლო ორივე რიგის მე-4 სინჯარაში ღვინომ ფერი არ შეიცვალა, ამ შემთხვევაში მძიმე ლითონების კათიონების ნაისე გამოლექვისათვის, რომ არ დარჩეს ჭარბი რეაქტივი, 10 მლ ღვინოზე საჭიროა 0,5 % -იანი სისხლის ყვითელი მარილის ხსნარის 0,13 მლ, ანუ 0,65 გ სისხლის ყვითელი მარილი თითოეულ დალ ღვინოზე. საწარმოში ღვინის დამუშავებისას ღვინოში რომ მძიმე ლითონების კათიონების ნალექილი დარჩეს და არა სისხლის ყვითელი მარილი, მე-2 ცხრილის შესაბამისად დასამუშავებელ დოზად 0,59 გ/დალ უნდა შეიცილოთ.

წითელი ღვინის საცდელი დამუშავება. იღებენ ათ-ათ მლ წითელი ღვინის ნიმუშს და ამუშავებენ 0,5 % -იანი სისხლის ყვითელი მარილის მზარდი რაოდენობით (რეაქტივი 1). მაგალითად, 0,06, 0,12, 0,18, 0,24, 0,30 მლ და ა.შ. გარდა იმისა, ყოველ სინჯარაში შეაქვთ ზუსტად 1 მლ 0,2 % -იანი ულატინის ხსნარი (რეაქტივი 3). ნალექი ჩვეულებრივ სწრაფად ფასმოიყოფა. ყოველი სინჯარიდან იღებენ 3 მლ ფილტრატს სდა ერთნაირი დიამეტრის უფერული მინისაგან დამზადებულ ორ სინჯარაში ათავსებენ. მიღება სინჯარების ორი გრძელივი. ყოველ ფილტრატში შეაქვთ თითო მლ მარილმჟავა.

ე. 2 ც ს ი ა ლ  
დონის დამუშავებისათვის საჭირო სისხლის უფრუნველებელობის  
განსაზღვრის ცხრილი ც ს ი ა ლ

საცდელი დამუშავებით განსაზღვრული სისხლის ყვითელი მარილის რაოდენობა (მლ)	ლეინში ჩატარობის გათირების უფრუნველობა სამკალენტო გან რეზისზე გადააწვარიშებით (მგ/ლ)	მატებელის გათირების უფრუნველობა სამკალენტო გან რეზისზე (გ/დღ)	საცდელი ლეინში სახისრბოლი დამუშავებისათვის სპილო სისხლის ყვითელი მარილის რაოდენობა (გ/დღ)
1	2	3	4
0,01	0,9	0,05	—
0,02	1,8	0,10	—
0,03	2,6	0,15	—
0,04	3,5	0,20	0,16
0,05	4,4	0,25	0,22
0,06	5,3	0,30	0,27
0,07	6,2	0,35	0,31
0,08	7,1	0,40	0,36
0,09	7,9	0,45	0,40
0,10	8,8	0,50	0,45
0,11	9,2	0,55	0,49
0,12	10,6	0,60	0,54
0,13	11,5	0,65	0,59
0,14	12,3	0,70	0,63
0,15	13,2	0,75	0,67
0,16	14,1	0,80	0,72
0,17	15,0	0,85	0,76
0,18	15,9	0,90	0,81
0,19	16,7	0,95	0,85



1	2	3	4. 1. 1. 3. 5. 3. 2. 0.
0,20	17,6	1,00	0,90
0,21	18,5	1,05	0,95
0,22	19,4	1,10	0,99
0,23	20,3	1,15	1,03
0,24	21,2	1,20	1,08
0,25	22,0	1,25	1,12
0,26	22,9	1,30	1,17
0,27	23,8	1,35	1,21
0,28	24,7	1,40	1,26
0,29	25,6	1,45	1,30
0,30	26,4	1,50	1,35
0,31	27,3	1,55	1,39
0,32	28,2	1,60	1,44
0,33	29,1	1,65	1,48
0,34	30,0	1,70	1,53
0,35	30,9	1,75	1,57
0,36	31,8	1,80	1,62
0,37	32,6	1,85	1,66
0,38	33,5	1,90	1,71
0,39	34,4	1,95	1,75
0,40	35,3	2,00	1,80
0,41	36,2	2,05	1,84
0,42	37,0	2,10	1,89
0,43	37,9	2,15	1,93
0,44	38,8	2,20	1,98
0,45	39,7	2,25	2,02
0,46	40,6	2,30	2,07
0,47	41,5	2,35	2,11
0,48	42,3	2,40	2,16
0,49	43,2	2,45	2,20
0,50	44,1	2,50	2,25

ვას ხსნარი (ჩეგქტივი 5). სინჯარების პირველ მწერის უძრებენ თითო წვეთ სისხლის ყვითელი მარტონის ჭრა მასში წითელი მარილის ხსნარის (ჩეგქტივი 4), ჰემზენების სისხლის რიგს კი — რეინაამონიუმის მაძლარი ხსნარის (ჩეგქტივი 1) თითო წვეთს. ორივე მწერივში მიღებულ შეფერვას ვალის კომპარატორში ერთმანეთის წყვილ-წყვილად უდარებელი ვიდრე რეინა ფილტრატშია, სინჯარების პირველ მწერივში ბერლინის ლაუვარდი გამოიყოფა, მეორე მწერივში კი არ ამრიგად, სინჯარების პირველი მწერივი მეორე მწერივთა შედარებით უფრო მუქად შეიფერება. ფილტრატის მომდევნი ნიმუშებში შეფერვის სხვაობა თანდათან მცირდება და საბოლოოდ, როდესაც ფილტრატში სისხლის ყვითელი მრილი და რეინა აღარ იქნება, ორივე ნიმუში ერთნაირად იქნება შეფერილი.

მომდევნო სინჯარების ფილტრატში აღმოჩნდება თავ სუფალი სისხლის ყვითელი მარილი. ამასთან ერთად, სინჯარების პირველ მწერივში, რომელსაც დამატებული ჰქონდა ორივე მარილის ხსნარი, ბერლინის ლაუვარდი არ წარმოიქმნება, სინჯარების შეორე მწერივში კი რომელსაც დამატებულ ჰქონდა რეინაამონიუმის მაძლარი ხსნარი, ბერლინის ლაუვარდი თანდათანობით მზარდი რაოდენობით წარმოიქმნება. პირველი და შეორე მწერივის სინჯარების ფილტრატები კვლეული სხვადასხვა შეფერვისაა.

სისხლის ყვითელი მარილის სწორი დოზა იქნება სინჯარების ამ სერიის იმ მონაკვეთში, საღაც განსხვავება არ იქნება შეფერვებში. ძლიერ შეფერილი წითელი ღვინოების გამოცდის დროს ღვინო უნდა განზავდეს იმ ანგარიშით რომ 3 სე შე გამჭვირვალუ იყოს.

ერთი ჰექტოლიტრი ლვინის დასამუშავებლად ლაბორატორიულ პირობებში განსაზღვრული სისხლის კარიურული მაჩილის რაოდენობა გაიანგარიშება ერთ დეკალიტრზე 0,14 გრ შემდეგ დასამუშავებელი ლვინის მთლიან რაოდენობაზე.

## სისხლის ყვითელი მარილით

### ლვინის დამუშავების წარე

სისხლის ყვითელი მარილით ლვინის დამუშავება ნება-დართულია მხოლოდ იმ ჭარბი მძიმე ლილონების კათიონების მოსაცილებლად, რომელიც ლვინის მდგრადობასა და გემოზე უარყოფით გავლენას ახდენს. მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ საწარმოში, სადაც წარმოების კონტროლისათვის საჭირო მოწყობილობა და ლაბორატორია არ არის.

ამ საქმეზე მომუშავე წინასწარ უნდა იცნობდეს სათანა-დო ინსტრუქციას და ვალდებულია, მკაცრად დაიცვას ის. ვი-საცდარევებული აქვს ფერების შეგრძნება, სისხლის ყვითელი მარილით ლვინის დამუშავებაზე არ დაიშვება.

ანალიზის შედეგები და გაანგარიშება აუცილებლად გაშინევე უნდა ჩაიწეროს დანომრილ, ზონარგავრილ და შეკედლასმულ სპეციალურ უურნალში „სისხლის ყვითელი მარილით ლვინის დამუშავება“, რომლის ფორმა შე-3 ცხრილშია მოცემული.

ყველა ამ წესის დაცვაზე პასუხისმგებელია წარმოების მთავარი ინჟინერი (მთავარი ტექნოლოგი) და ტექნიკური კონტროლის უფროსი (ლაბორატორიის გამგე).

ლაბორატორიის დასკვნის საფუძველზე სისხლის ყვითელი მარილით დამუშავების შესახებ განკარგულებას იძლევა

15	ს. ლ. მამაკა	სასამავალი დანის დასახულება, პარტის ნო- რენი.
015. № 2, 2500 ლაც	გთავანი შოტკულობა და იმ რეზისუარის ნორენი, რომელიც მიმღინარეობს ცენტ დამტკაცება სურ-ით დასამავალი დანის რაოდენობა, ასე	
2315	სინარჩას დატატა 0,5 ჭ.-თან სკმ	
ლითონურის კარინებით ან კატან სკმ	გრძელ ლითონურის კარინებით ან სინარჩას დატატა 0,5 ჭ.-თან სკმ	
ლითონურის კარინებით ან ჭარბი სკმ	ლითონურის დატატა 0,5 ჭ.-თან სკმ	
0,15	საცეცვები დატატა 0,5 ჭ.-თან სკმ	
ლითონური	საცეცვები დატატა 0,5 ჭ.-თან სკმ	
0,10	ლითონურის კარინებით ან ჭარბი სკმ	
ლითონური	საცეცვები დატატა 0,5 ჭ.-თან სკმ	
0,13	ლითონურის დატატა 0,5 ჭ.-თან სკმ	
11,5	გრძელ ლითონურის დატატა 0,5 ჭ.-თან სკმ	
0,65	ლითონურის კარინების უმცირეს მოდის გამო-	



მრავალთ ლიტერატურის დამუშავება — უორმა

1366	საქართველო ლამეზეავაბისის სკოს რაოდენობა (გ-უ)	ლიტერატური ლამეზეავაბი
21.11.1917 წ.	სისხლის კვირეული გარიბლობა თანაბრძო	ლიტერატურის ლამეზეავაბის
არის	მძიმე ლითონების კითონები ჰარბი სკე	ლამეზეავაბის სისწლის უკარკებების შეჯერება
( . . . . . )	დამცუკუტებულ ჭირიკასის ხელმოწერა	
20. 11. 1971 წ.	დამცუკუტებული ლიტერატურის მოსსის. თანაბრძო	
25. 11. 1971 წ.	ანალიზის თანაბრძო	ლამეზეავაბი ლიტერატურის უკარკებების შეჯერება
არის 2.6 გვ/ლ	მძიმე ლითონების კითონები ჰარბი სკე	
არის არის	ბურღალის ლაქვარდის ლექტ	
( . . . . . )	ლაპარატორიის გამზის დასკანდ და ხელვიწურება	

მთავარი ტექნოლოგი ან საამქროს უფროსი. სისხლის თელი მარილით შეიძლება დამუშავდეს მხრილი კარტი იგივე ტექნოლოგიურ ჭურჭელში მოთავსებული რჩანა დასამუშავებელი ღვინის რაოდენობა ზუსტი უნდა და ნდეს. თუ ჭურჭელის მოცულობის განსაზღვრისას დასაშუალომილება  $2\%-ს$  აღემატება, ღვინის დამუშავება იქ ლულია.

ღვინის დასამუშავებლად განკუთვნილი სისხლის ყვავლი მარილი უნდა შეესაბამებოდეს „სუფთა“ პრეპარატი (ГОСТ – 4207 – 48). იგი წარმოადგენს სამ წყალბაზის ცვლებულ კრისტალოპიდრატს, რომელშიც გარეშე მისავები (ცლორიდები, სულფატები, კარბონატები და წყალ უხსნადი ნივთიერებები)  $0,08\%-ს$  არ უნდა აღემატებოდეს სისხლის ყვითელი მარილის მარავი უნდა ინახებოდეს ცკე, ჩაკეტილ კარადაში, სუფთა, ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელში. მისი შენახვა საწარმოო სამქროში დაუშველია. საჭირო რაოდენობა უნდა განისაზღვროს მხოლოდ სტრუქტურის მტკიცე დაცვით, ლაბორატორიაში ჩატარებულ საცდელი დამუშავების საფუძველზე. სისხლის ყვითელი მარილის საჭირო რაოდენობის განსაზღვრის სხვა ხერხები და მეთოდების გამოყენება დაუშვებელია.

დამუშავების ერთ ციკლზე მძიმე ლითონების საერთო რაოდენობის  $90\%$  უნდა გამოილექოს. ღვინო, რომელში მძიმე ლითონების კათიონები სამვალენტოვან რკინაზე უდაანგარიშებით აღემატება  $40$  მგ/ლ, რამდენიმეჯერ უნდა დამუშავდეს. თუ ღვინოში მძიმე ლითონების კათიონები კლებია  $3$  მგ/ლ, სისხლის ყვითელი მარილით მისი დამუშავება საჭირო არ არის.



ლეინის დამუშავებისათვის ლაბორატორიული ანალიზით განსაზღვრული სისხლის ყვითელი მარილი ტექნიკურზეც უკავშირდება და მცირე (2—5 ლ) ოდენტმისტის მიზნების შემთხვევაში იხსნება. მარილის უშუალოდ ღვინოში გახსნა დაუშვებელია. ღვინო უნდა დამუშავდეს მხოლოდ ალად დამზადებული სისხლის ყვითელი მარილის ხსნარით, ხსნარი მზის სხივებისაგან უნდა დავიცვაო.

ხსნარის შეტანისას ღვინო მექანიკური სარევის ან ტუშის საშუალებით ისე უნდა აფურიოთ, რომ მარილი ღვინოში თანაბრად განაწილდეს. ღვინის არევა ხსნარის შეტანის შემდეგაც არანაკლები ერთია საათისა უნდა გავაგრძელოთ. ამავე დროს სხვა გამწებავი ნივთიერებების (თევზის წებო, ეკლატინი, ასკანგელი) შეტანაც დასაშვები და მიზანშეწონილია.

დამუშავებული და საფუძვლიანად არეული ღვინო დასწენდად შეიძლება იმავე ჭურჭელში დარჩეს ან სხვა ჭურჭელში გადავიტანოთ. მანამდე კი სისხლის ყვითელი მარილისა და მძიმე ლითონების კათიონების არსებობა სპეციალური წესით უნდა შემოწმდეს. თუ დამუშავებულ ღვინში სისხლის ყვითელი მარილი აღმოჩნდა ან რეაქცია მძიმე ლითონების კათიონების შემცველობაზე უარყოფითია, ღვინო მაშინვე უნდა შესწორდეს დაუმუშავებელი ღვინით ისე, რომ მასში აუცილებლად იყოს მძიმე ლითონების ნიშები. დამუშავებული ღვინი დასაწმენდად ყოვნდება არა უმეტეს 20 დღისა. დაწმენდილი ღვინო ლექიდან დეკანტაცით იხსნება, ჩარჩოიან ფილტრში იფილტრება და შარმოებაში გათვალისწინებული ტექნოლოგიური სქემით დამუშავებისათვის გადაეცემა. თუ ეს სქემა ღვინომასალის გაფი-

ლტვრას, გაწებვას, სითბოთი დამუშავებას, შამპანისა  
და ა. შ. ითვალისწინებს, მაშინ ბერლინის ფლატბურტების და  
დან მოხსნილი კარგად დაწმენდილი ფრენჩის არაფრენტის  
აუცილებელი არ არის. სისხლის ყვითელი მარილით და  
შავებული ღვინის რეალიზაცია მხოლოდ ლექიდან მოხს  
10 დღის შემდეგ შეიძლება.

ღვინის გადაღების შემდეგ დარჩენილ ბერლინის ღ  
ვვარდის თხევად ლექს მაშინვე გაფილტრავენ, ან ცენტრ  
ფუგირების საშუალებით ასქელებენ. მიღებულ სუფთა ღ  
ნოს ძირითად პარტიას უმატებენ, ხოლო შესქელებულ ბეჭ  
ლინის ლაუვარდის ლექს ან ქიმიურ ქარხნებს გადასცემენ,  
სპობენ. წარმოებაში ბერლინის ლაუვარდის თხელი ლეჭ  
შენახვა დაუშვებელია.

ჩამოსხმის, დასაძველებლად დაყოვნების, შამპანისაც  
ან სხვა ოპერაციის წინ დამუშავებული ღვინო უნდა წ  
მოწმდეს სპეციალური წესით სისხლის ყვითელი მარილ  
ბერლინის ლაუვარდისა და მძიმე ლილონების შემცველ  
ბაზე.

## სისხლის ყვითელი მარილით დამუშავებული ღვინის ზამოზამა

ღვინოში მძიმე ლილონებისა და სისხლის ყვითელი მარ  
ლის შემცველობის განსაზღვრა. დამუშავებული ღვინის წ  
ოუშს ქაღალდის ფილტრში გაფილტვრის შემდეგ ორ ათ-  
მლ-იან სინჯარაში ჩასახამენ. თითოეულს უმატებენ 2 მლ  
ნორმალობის მარილმჟავის ხსნარს. შემდეგ ერთ სინჯარას უ-  
ტებენ 2—3 წვეთ სისხლის ყვითელი და წითელი მარილები

სინარს, ხოლო მეორეს 2—3 წევეთ რეინაამონიუმის მაძღვან  
სინარს. პირველ სინჯარაში ღვინო უნდა შეიფეროს ლია  
ლურჯად ან მწვანედ, რაც მძიმე ლითონების ქართველების უკან  
ასებობის, ანუ სწორად დამუშავების მაჩვენებელის შექმნას ეს სინჯარაში ღვინომ ფერი არ უნდა შეიცვალოს.

მეორე სინჯარაში ლურჯი ფერის წარმოქმნა ან პირველ  
სინჯარაში ფერის შეუცვლელობა ნიშნავს, რომ ღვინოში  
ჟარბაღა სისხლის ყვითელი მარილი და მთლიანად გამოლე-  
ჭილია მძიმე ლითონები, რაც დამუშავების დროს შეცდო-  
ბის დაშეგბის ნიშანია.

ბერლინის ლაუგარდის ლექის არსებობის განსაზღვრა.  
შემოწმება წარმოებს მზა ღვინის ჩამოსხმის, დასაძველე-  
ბლად დაყოვნების, შამპანიზაციის ან სხვა ოპერაციის წინ.  
0,5 ლ სისხლის ყვითელი მარილით დამუშავებული ღვინო  
12 სმ დიამეტრის მქონე გლუვზედაპირიან ქაღალდის ფილ-  
ტრში იფილტრება. გაშრობის შემდეგ ფილტრის ქაღალდზე  
ას უნდა დარჩეს ლურჯი შეფერვა, ვინაიდან იგი ღვინოში  
ბერლინის ლაუგარდის კოლოიდების არსებობის ნიშანია.

ზოგჯერ აუცილებელია ღვინოში ბერლინის ლაუგარდის  
ან სისხლის ყვითელი მარილის დაშლის შედეგად წარმოქმნი-  
ლი ჰიდროციანმჟავას არსებობის დადგენა.

ჰიდროციანმჟავას არსებობის დადგენა ბერლინის ლაუ-  
გარდის წარმოქმნის რეაქციით: კარგად არეული ღვინიდან  
იღებენ 200 მლ ნიმუშს და ათავსებენ მრგვალდირიან კოლ-  
ბში, რომელსაც გაეთებული აქვს საცობი 2 გამოსაშვები  
მილიო. ღვინოს ამუშავებენ 2 ნორმალობის გოგირდმჟა-  
ვათი (55,8 მლ კონცენტრული გოგირდმჟავა შევსებული 1  
ლიტრამდე გამოხდილი წყლით). კოლბს მაშინვე უკეთებენ

საცობს და მოკლე გამოსაშვებ მიღს მაცივარს უერთ  
აშის შემდეგ შეორე გამოსაშვებ მიღს, ურთიშეცულ და  
ძირამდე ჩაღის, ორთქლის წყაროს უერთულყრდნაკუთხის  
მაღლარი წყლის აბაზანას უდგამენ. მაცივრის მიღს მ  
დროდ უნდა ჰქონდეს მორგებული ალინე, რომლის მ  
ღია საშვებულია ელენშეიერის კოლბში მოთავსებულ გა  
ტანებულ წყალში. დისტილარის მისაღებად გამოყენება  
ელენშეიერის კოლბში ასხამენ 10—15 მლ წყალს და  
წვეთ 30 %-იან ნატრიუმის ტუტეს უმატებენ.

გამოხდის დროს არეგულირებენ ორთქლის ვიწოდე  
და ერიდებიან ძლიერ აქაფებას, რითაც თავიდან იცი  
ბენ სითბის მაცივარში გადასელას. 50 მლ ნახადის დასაჭ  
ვებლად მიმღებ კოლბს წინასწარ უკეთებენ ნიშანხაზ. ა  
ნიშნული რაოდენობით შეგროვებულ ნახადს ურევენ  
ამოწმებენ მის რეაქციას. ნახადს ყოველთვის ტუტე რეაქ  
უნდა ჰქონდეს.

ბერლინის ლაქვარდის წარმოქმნის რეაქციისათვის მ  
ღები კოლბიდან იღებენ 20 მლ ნახადს, ათავსებენ ელენშე  
ერის კოლბში, აცხელებენ 50—60°-მდე და  $\text{FeSO}_4$   
1 %-იან ხსნარს რკინის ჰიდრატის წვრილი, მაგრამ ადვი  
შესამნევი ფილტრების წარმოქმნამდე წვეთწვეთობით უ  
ტებენ. ამის შემდეგ ხსნარს არ ეხებიან, 15 წუთის შემდე  
კოლბს კარგად ანგლრევენ და რკინის მარილის ჰიდრატ  
გახსნამდე წვეთწვეთობით უმატებენ 2 ნორმალობის მაჩვ  
მეავას. მკვეთრად გამოხატული მეავე რეაქციის მისაღებ  
კიდევ 0,5 მლ 2 ნორმალობის მარილმეავასა და 1—2 წკ  
რკინის ქლორიდს უმატებენ.

მიღებულ ხსნარს კოლბში ანგლრევენ, გადააქვთ შე

უართე სინჯარაში და აკვირდებიან. შესაძლებელია, ციანმეუ-  
კას აჩსებობისას ნახადში მაშინვე წარმოიქმნას ბერლინის  
ლუვარდის ცისფერი შეტივტივებული ფიფქები ან სტანდა-  
სხა ინტენსივობით შეიფეროს. ბერლინის ლაუფერდი რაზ-  
დენიმე საათის შემდეგ გამოილექება.

შესაძლებელია, ციანმეუკას მცირე რაოდენობისას ხსნა-  
რი ლურჯ-მონაცრისფროდ არ შეიფეროს, რაც ბერლინის  
ლუვარდის სიმცირით, ან არასპეციალური შეფერივით  
იქნება გამოწვეული. ამ შემთხვევაში შეიძლება ნალექი  
ეჭთი დღე-ღამის შემდეგ გამოილექოს, ამიტომ რეაქცია  
ერთი დღე-ღამის შემდეგ გამოყოფილი ბერლინის ლაუფე-  
რდის ლეგის საფუძველზე უნდა შეფასდეს.

საეჭვო რეაქციის მიღებისას ციანიდების განსაზღვრას  
ბრენსვიკის მიკრორეაქციით აწარმოებენ.

ჰიდროციანმეუკას აჩსებობის დადგენა ბრუნსვიკის მიკ-  
რო რეაქციით. ზემოაღწერილი ციანიდების განსაზღვრისას  
ანალიზი მიღებულ ნახადს ან უშუალოდ ღვინის ნიმუშს  
უკეთდება. ამ მიზნით 50 მლ-იან ელენმერის კოლბში 10  
მლ ნახადს, ხოლო მეორე ასეთივე კოლბში კი 10 მლ კარ-  
გად აჩეულ გაფილტრული ღვინის ნიმუშს ასხამენ.

კოლბების შიგთავსს 1 მლ 2 ნორმალობის გოგირდმეუკას  
სსნარით ამეავებენ, რის შემდეგ დაუყოვნებლივ აფარებენ  
სასაგნე მინას, რომელზედაც დაკიდულია აზოტმეუკათი შე-  
ჩუვებული აზოტმეუკავერტნის 1 %-იანი ხსნარის წვეთი  
(ცერცხლის ხსნარის 10 მლ-ს უმატებენ 2—3 წვეთ 2 ნორ-  
მალობის აზოტმეუკას).

ამ მდგომარეობაში კოლბებს 30 წუთს ისე აჩერებენ, რომ  
ისინი მზის სხივებისა და გოგირდწყალბადისაგან იყვენ-

დაცული. ციანმეავას ან ციანიდების არსებობის შემთხვევაში დაკიდული წევეთი, მის ზედაპირზე ვირტუელის ციფრული ბის ნემსისმაგვარი მიკროკრისტალების აბზე უწყისეს გამო, იძღვრევა. ციანმეავას უმნიშვნელო რაოდენობა ვერცხლის წევეთის გამჭვირვალობას ოდნავ ცვლის, რის თვისაც წვეთი მიკროსკოპში უკველთვის საფარი მინის გარეშე უნდა გაისინეოს. განსაკუთრებულ უურადლებას აქცი ვენ წვეთის ნაპირებს, საიდანაც იწყება კრისტალების წარმოქმნა.

იმ შემთხვევაში, როდესაც ბრუნსვიკის რეაქცია დაფუძნდით შედეგს იძლევა, ხოლო რეაქცია ბერლინის ლაუფერდები — უარყოფით შედეგს, იგივე ღვინო ორთქლის ჭავლით გამეორებით და ორმაგი რაოდენობით (ნახადის ბერლინის ლაუფერდის შემცველობაზე შემოწმებით) უნდა გამოიხადოს გამოსახდელი ღვინის შემეავება ხდება არა განზავებული გოგირდმეავათი, არამედ ღვინომეავათი, რითაც ჭიანჭველმეავად ციანმეავას ჰიდროლიზური დაშლის ალბათობა მცირდება.

## სისხლის ცვითელი გარილით ღვინიდან ლითონების გამოლევაზე გოგოები ფაქტორები

ღვინოში ლითონები თავისუფალი სახით იშვიათად გვხვდებიან. ისინი ღვინის ორგანულ ნივთიერებებს უქავშირდებიან და რთულ ნაერთებს წარმოქმნიან. ლითონია თრგანული ნაერთები ღისოციაციის ხარისხით ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებიან სამვალენტოვანი ჩაინის ორგანული

ნაერთი ხშირად ჩვეულებრივ პირობებში რეინისათვის დამახასიათებელ არც ერთ რეაქციას არ იძლევა შტრუცელები ॥ სამეღავრებლად ძლიერი მეავას დამატება ან წრინჭურული კაცია საჭირო. ამიტომ არის, რომ ღვინოში შეტანილი სისხლის ყვითელი მარილი რკინასთან რეაქციაში გთლიანად არ შედის და ბერლინის ლაუვარდის სრული წარმოქმნისათვის გარკვეული დროა საჭირო.

ღვინოში სისხლის ყვითელი მარილით ლითონთა უხსნადი ნაერთების წარმოქმნასა და გამოლექვის სისწრაფეზე სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებს. ამ ფაქტორებიდან აღსანიშვისა თვით ლითონთა ორგანული ნაერთების ბუნება, ღვინის უანგვა-ალდგენითი პოტენციალი, აქტიური მეავანობა. ღასმუშავებლად შეტანილი სისხლის ყვითელი მარილის ჩაოდენობა და იმ პირობების გავლენა, რომელშიც ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს.

უანგვა-ალდგენითი პოტენციალი. როგორც ცნობილია, ტექნოლოგიური ოპერაციების დროს და ღვინის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე უანგვა-ალდგენითი პოტენციალს დიდი მნიშვნელობა აქვს. სისხლის ყვითელი მარილით ღვინის დამუშავებაზე უანგვა-ალდგენითი პროცესების გავლენა ღვინოში არსებული რკინის თონური ფორმების ცვლილებებთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ.

ღვინოში ორ და სამვალენტოვანი რკინა გვხვდება როგორც თავისუფალ იონურ მდგრმარეობაში, ისე კომპლექსურ ნაერთებში. რაც უფრო მაღალია ღვინის უანგვა-ალდგენითი პოტენციალი, მით რკინის მეტი ნაწილია დავანგული და პირიქით. სისხლის ყვითელი მარილის მიერ რკინის შეერთებისა და გამოლექვის საჭირო სამეცნიერო ლიტერატუ-

რაში ნაკლებადაა გაშუქებული. გ. ტროთსტის აზრით, სისტემის ყვითელი მარილით ღვინის დამუშავებისა და წერტიფიციატისად დაუანგულ ფორმაში მყოფი რკინა გაჭირდული ქმნის ბერო-გაიონის მონაცემებით, სისხლის ყვითელი მარილი უფრო აღვილად აღდგენილ ფორმაში მყოფ რკინას უერთდება, რაც, მისი აზრით, ორვალენტოვანი რკინის კომპლექსური მარილების აღვილი დისოციაციის უნარითაა გამოწვეული.

სისხლის ყვითელი მარილით ღვინის დამუშავების დროს რკინის იონური ფორმების გავლენის შესასწავლად უხსნადი ნაერთების წარმოქმნასა და გამოლექვაზე ავიღეთ ერთ და იგივე ქიმიური შემადგენლობისა და სხვადასხვა რაოდენობის სამვალენტოვანი რკინის შემცველი ღვინო. ღვინის ერთი ნაწილი ინახებოდა ჰაერშიუკარებლად, მეორე გაჭრებული იყო ჰაერით და მესამეში რკინის მაქსიმალური დაუანგვისათვის წყალბადის ზეანგი გვქონდა შეტანილი.

ამრიგად, მიღებულ იქნა სხვადასხვა უანგვა-აღდგენით პოტენციალისა და სხვადასხვა რაოდენობით დაუანგული რკინის შემცველი ნიმუშები. ამ ნიმუშებში სისლის ყვითელი მარილის შეტანამდე განსაზღვრული იყო უანგვა აღდგენითი პოტენციალი და რკინის ფორმები (მე-4 ცხრილი).

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ, როგორც მოხალოւნელი იყო, უანგვა-აღდგენითი პოტენციალი დაბალ დონეზე აღმოჩნდა პირველ ვარიანტებში (385, 360, 363 მლვ) შალალზე კი — მესამე ვარიანტებში (510, 505, 513 მლვ). შესაბამისად, სამვალენტოვანი რკინა მცირე რაოდენობით იყო პირველ ვარიანტებში (3,1 2,0; 6,0 მგ/ლ), ხოლო დიდი რაოდენობით — მესამე ვარიანტებში (18,5 11,4, 17,2 მგ/ლ).

ଶ୍ରେଣୀ—ଅନୁକରଣ ଓ ଅନୁକରଣ କାର୍ଯ୍ୟରେ ବିଶେଷ ବିଧିରେ ବିଶେଷ ବିଧିରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ

ବୈଶିଖ ପରିମାଣ କାର୍ଯ୍ୟରେ ବିଶେଷ ବିଧିରେ ଉପରେ ଉପରେ

ର୍ତ୍ତବ୍ୟରେ ରୂପରେ ରୂପରେ ରୂପରେ ରୂପରେ ରୂପରେ ରୂପରେ ରୂପରେ ରୂପରେ

ସଂଖ୍ୟା Eh	ରୂପରେ ରୂପରେ ରୂପରେ ରୂପରେ	ର୍ତ୍ତବ୍ୟରେ ରୂପରେ		ର୍ତ୍ତବ୍ୟରେ ରୂପରେ		ର୍ତ୍ତବ୍ୟରେ ରୂପରେ		ର୍ତ୍ତବ୍ୟରେ ରୂପରେ	
		Fg <sup>34</sup>	ବୈଶିଖ						
I 385	3,1	3,2	2,9	3,1	2,9	—	—	—	3,1 2,0
II 410	20,3	9,8	3,7	3,0	3,5	3,0	3,3	2,9	3,0 2,0
III 510	—	18,5	4,4	4,0	3,8	3,6	3,3	2,9	2,8 2,8
—	—	—	—	—	—	—	—	—	—
I 360	2,0	4,4	1,5	4,2	1,5	—	—	4,0	1,4 4,0
II 399	13,5	7,3	4,2	3,2	4,0	3,1	3,8	3,8	2,9 3,6
III 505	—	11,4	5,0	4,8	4,8	4,3	4,1	3,6	3,5 3,4
—	—	—	—	—	—	—	—	—	—
I 363	6,0	6,2	2,2	5,6	2,2	5,5	2,1	—	— 5,3 1,5
II 382	17,2	11,3	6,2	4,3	6,0	4,1	5,6	4,1	5,3 3,9 5,3 52,3
III 531	—	17,2	4,7	4,1	4,1	4,1	4,0	3,7	3,7 3,7 3,6 3,6

თითოეული ნიმუშის სამივე ვარიანტი დამუშავდა წინა წარ განსაზღვრული სისხლის ყვითელი მარტინის ექიმი ივივე რაოდენობით, შემდეგ კი განისაზღვრული სკოლის მასა თო რაოდენობა და მისი ფორმები. როგორც ცხრილიდან ჩანს, რაც უფრო მაღალია დამუშავებული ღვინის უანგვა-აღ-დგენითი პოტენციალი, მით უფრო მეტია მასში სამვალენ ტოვანი რეინა და სისხლის ყვითელი მარილით ღვინიდან რეინის გამოლექვას დროც მეტი სჭირდება.

დ. დავიდსონმა გამოთქვა თეორიული მოსაზრება იმის შესახებ, რომ სისხლის ყვითელ მარილსა და სამვალენტოვან რეინს შორის რეაქცია რთულია და რამდენიმე საათს გრძელდება. მე-4 ცხრილიდან კი ჩანს, რომ, როდესაც რეინის დიდი ნაწილი დაეანგულია, რეაქცია რამდენიმე დღეს გრძელდება. ამიტომ, ჩვენი აზრით, ბერლინის ლაუვარდის გამოლექვის დაგვიანება უმეტეს შემთხვევაში ღვინის ფიზიურ-ქიმიური მაჩვენებლების ბრალია, კიდრე ქიმიური რეაქციისა.

სისხლის ყვითელი მარილით დამუშავების შედეგად რეინის საერთო რაოდენობა უველავე მეტად შემცირდა მესამე ვარიანტში, რომელშიც უანგვა-აღდგენითი პოტენციალის დონე და სამვალენტოვანი რეინის რაოდენობაც მაქსიმალურად იყო გაზრდილი.

როგორც ცნობილია, სამვალენტოვანი რეინის გამოსალუ ქად უფრო ნაკლები სისხლის ყვითელი მარილია საჭირო ვიდრე ორგვალენტოვნისათვის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასეთ შემთხვევაში ბერლინის ლაუვარდის წარმოქმნა და გამოლექვა დაგვიანებით ხდება.

ამჟამად არსებული წესის მიხედვით შამპანური ღვინი მასალის სისხლის ყვითელი მარილით დამუშავება მეღვინეობის

ბის პირველადი ქარხნებიდან შამპანური ღვინის ქარხნაში შეტანისთანავე წარმოებს, რაც არასწორი უნდა ჰქონის მატერიალური განაც ტრანსპორტირების შედეგად ღვინის უძველესობის ეფექტურობის ეფექტურობის შეტენციალი მაღალია, ეს კი სისხლის ყვითელი მარილისა და რეინის ურთიერთშოქმედების შედეგად უხსნადი ნაერობის წარმოქმნასა და გამოლექვას აძრკოლებს.

გარდა ამისა, უანგვითი პროცესების დროს იდგილი აქვს ორ და სამვალენტოვან რეინის შორის შეფარდების ცვლას, რაც დასამუშავებლად საჭირო სისხლის ყვითელი მარილის რაოდენობის ზუსტად დადგენის აძნელებს.

თუ დამუშავებას წინ უსწრებს ღვინის გადატანა დიღა ტევადობის ჭრუჭელში, აქ იგი გარკვეული დროის განმავლობაში ეხება ჰაერს, მასში იხსნება ჰაერის უანგბადი და იხრდება უანგვა-აღდგენითი პოტენციალი, რასაც ორვალენტოვანი რეინის დაეანგვის ხარჯზე სამვალენტოვანი რეინის კონცენტრაციის ზრდა მოჰყვება.

შამპანურ ღვინომასალებში სისხლის ყვითელი მარილით დამუშავებამდე უანგვა-აღდგენითი პოტენციალისა და რეინის ფორმების ცვლილება მოცემულია მე-5 ცხრილში.

ცხრილში მოცემული ნიმუშის უანგვა-აღდგენითი პოტენციალი ბუტში ღვინის გაერთვეაროვნებამდე 321 მლვ იყო, 12 საათის შემდეგ იგი 353 მლვ-მდე გაიზარდა. შესაბამისად 3,1-დან 6,2 მგ/ლ-მდე გაიზარდა სამვალენტოვანი რეინის რაოდენობაც. ამ შემთხვევაში თითქოს უმნიშვნელო ცვლილება მოხდა, მაგრამ იგი უარყოფითად იმოქმედებს სისხლის ყვითელი მარილით ღვინის დამუშავებაზე.

თუ სისხლის ყვითელი მარილი სამვალენტოვან რეინისა და წარმოქმნის ბერლინის ლაუვარდს  $\text{Fe}_3[\text{Fe}(\text{CN})_6]_3$  და ორ-

უანგვა-ალფენითი პოტენციალისა და რკინის იონურის ხელმისაწვდომობის ცვლილებები ღვინოში სისხლის ყვითელი მარილით [სუმუზჭრებზე] შედგენ

ნიმუშის დასახელება	განსაზღვრის დრო	გ რ ა ს	რკინი მლ/ლ		
			სა- ერთო	Fe <sup>2+</sup>	Fe <sup>3+</sup>
0,05% შანპენტრი ღვინო-მასალა	ბუტში გალატანამდე	331		11,1	3,1
	ბუტში ღვინის გაერთვა- როვნების შემდეგ	322	14,2	10,7	3,5
	3 საათის შემდეგ	337		9,5	4,7
	6 საათის შემდეგ	345		8,9	5,3
	12 საათის შემდეგ	353		8,0	6,2

ვალენტოვან რკინასთან  $\text{K}_3\text{Fe}(\text{CN})_6$  მარილს  $\text{FeK}_2[\text{Fe}(\text{CN})_6]$ , მაშინ 1 მგ სამვალენტოვანი რკინის გამოსალექად საჭირო იქნება  $5,67$  მგ სისხლის ყვითელი მარილი, ხოლო იმავე რაოდენობის ორვალენტოვანი რკინის გამოსალექად —  $7,56$  მგ.

აღნიშნული შემოხვევისათვის ბუტში ღვინის გაერთვა-  
როვნებამდე 1 ლიტრი ღვინიდან რკინის მთლიანი რაოდენობის გამოლექვისათვის საჭირო იქნებოდა  $11,1 \times 7,56 + 3,1 \times 5,67 = 101,4$  მგ სისხლის ყვითელი მარილი, ხოლო 12 საათის შემდეგ  $-8,0 \times 7,56 + 6,2 \times 5,67 = 95,6$  მგ, ე. ი. ნი-  
მუშის აღებიდან 12 საათის შემდეგ ერთი ლიტრი ღვინიდან რკინის გამოსალექად საჭირო იქნება  $101,4 - 95,6 = 5,8$  მგ-ით ნაკლები სისხლის ყვითელი მარილი. ვიღრე ნიმუშის აღები:

ურის, ასეთი შეცდომა კი ღვინოში ჭარბი სისხლის ყვითელი  
მარილის შეტანას გამოიწვევს.

მრიგად, რაც უფრო მაღე მოხდება სისხლის ყვითელი  
მარილის რაოდენობის განსაზღვრა და მისი ღვინოში შეტა-  
ნა, მით უფრო ნაკლები იქნება შეცდომა. როგორც ცნობი-  
ლა, ღვინოში შეტანილი სისხლის ყვითელი მარილის მიერ  
ჩეინის შეერთების სისწრაფე კომპლექსური მარილების დი-  
სოციაციის ხარისხის შემცირებასთან ერთად მცირდება. სის-  
ხლის ყვითელ მარილსა და რკინას შორის რეაქციის სისწრა-  
ფის შემცირება განსაკუთრებით მაშინ შეიმჩნევა, როცა ღვი-  
ნოში 4 მგ/ლ-ზე ნაკლები რკინა რჩება. ამით უნდა აიხსნას  
ის გარემოება, რომ ჩშირად ერთ ლიტრ ღვინოში 2 მგ/ზე ნაკ-  
ლები რკინის არსებობისას მოსალოდნელია თავისუფალი  
სისხლის ყვითელი მარილიც. მიუხედავად ამისა, რეაქცია  
ტროთა განმავლობაში მაინც დამთავრდება, რაც გამოიწვევს  
ხერილინის ლავვარდის დაგვიანებით გამოლექვას. ამის თა-  
ვიდან აცილების მიზნით სასურველია, დამუშავებამდე რამ-  
დენიმე დღის განმავლობაში ღვინო არ შეეხოს ჰაერს. ეს  
გამოიწვევს უანგვა-ალდგენითი პოტენციალის შემცირებას,  
დაუანგული რკინის ნაწილის ალდგენასა და ღვინის შემადგე-  
ნელ ელემენტებს შორის ქიმიური შრონისწორობის დამყარე-  
ბას, რაც შესაძლებელს გახდის სისხლის ყვითელი მარილის  
ღოზის ზუსტ დადგენას.


აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ სისხლის ყვითელი მა-  
რილის შეტანის შედეგად წარმოქმნილი უხსნადი ნაერთების  
გამოლექვის დაჩქარების მიზნით დამატებული თევზის წებოს  
ან ელატინის კოლოიდების ფლოკულაციისათვის ღვინოში  
2-3 მგ/ლ სამვალენტოვანი რკინის არსებობა აუცილებელია.

აერაცია. ჩოგორც ირკვევა, ლვინომასაბაში სუბს  
საერთო რაოდენობიდან მეტი ნაწილი აღდგენილი ფორმით  
წარმოდგენილი. სისხლის ყვითელი მარილი ჭრილების შემდეგ  
ნასთან სხვადასხვა შედგენილობის ნაერთშიც უძაბნებელი  
ორვალენტოვანი რეინის შემცველ ხსნარებში სისხლის ყვი-  
თელი მარილის შეტანის შედეგად შეიძლება წარმოიქმნას  
 $\text{Fe}_2[\text{Fe}(\text{CN})_6]$ , ან  $\text{FeK}_2[\text{Fe}(\text{CN})_6]$ , ან ორივე ერთად.


ამ ნაერთების რაოდენობა ძირითადად დამოკიდებულია  
მათი შემადგენელი კომპონენტების რაოდენობაზე. თუ ხსნარ-  
ში გრამეკვივალენტობით გამოსახული მარილის რაოდენობა  
მეტია, ვიდრე ორვალენტოვანი რეინა, მაშინ წარმოიქმნება  
ორმაგი მარილი, ხოლო, თუ ორვალენტოვანი რეინა პარ-  
ბობს — სრული მარილი.

ორვალენტოვანი რეინის წყალბადფეროციანიდმუავა რო-  
გორც რთული, ისე ორმაგი მარილი თეთრია და ჰაერის გან-  
გბადის შეხებით ადვილად იქანგება ბერლინის ლაუვარდამდე.

სრული მარილისათვის:



ორმაგი მარილისათვის:



პირველი ფორმულიდან ჩანს, რომ ორი მოლეკულა ორვა-  
ლენტოვანი რეინის სრული მარილის დაუანგვა ერთ მოლე-  
კულა სისხლის ყვითელ მარილს საჭიროებს; მეორე ფურმუ-  
ლიდან ჩანს, რომ ოთხი მოლეკულა რეინის ორმაგი მარილი  
დაუანგვისას ერთ მოლეკულა სისხლის ყვითელ მარილს გა-  
მოყოფს.

ასევებული წესით შამპანური ღვინომასალების დამუშავების ღვინოში მარილის შეტანა ამრევმექანიზმიან, რეზერვუალი ჩემია გათვალისწინებული, საიდანაც ღვინო იძალვება ზოგის და დაქვემდება სხვა ჰურკელში. ამ ოპერაციას თან ახლავს ღვინის გაქავა, რამაც შეიძლება ორგალენტოვანი რკინისა და სისტემის ყვითელი მარილის ურთიერთმოქმედებით წარმოქმნილი ნაერთების დაეანვა და აქედან გამომდინარე ზოგიერთი ცვლილებები გამოიწვიოს.

ანიშნული საკითხის შესწავლის მიზნით ავიღეთ შამპანური ღვინომასალის 8 ნიმუში. თითოეული ნიმუში გავყავით ორ ნაწილად. ერთ ნაწილში სისხლის ყვითელი მარილი შევარანეთ იმ ანგარიშით, რომ დამუშავების შემდეგ ღვინოში მხოლოდ 4—5 მგ/ლ რკინა დარჩენილიყო, მეორე ნაწილში კი მარილი ორჯერ უფრო ნაკლები რაოდენობით შევიტანეთ. სისხლის ყვითელი მარილით დამუშავებული ნიმუშებიდან წარმოქმნილი უბსნადი ნაერთების გამოლექვის დაჩქარების პირი ყოველ მათგანს ერთი და იგივე რაოდენობით ტანინი და ელატინი დავუმატეთ.

საცდელი ნიმუშები დაეყავით სამ-სამ ნაწილად. ერთი ნაწილი მოვათავსეთ ჰაერისაგან იზოლირებულად, მეორე ძლიერ გავჭარეთ და მესამეს კი უანგვა-ალფენითი პოტენციალის გაზრდის მიზნით დავუმატეთ წყალბალის ზეჟანგის ხსნარი (2 წვეთი 30 % -იანი  $H_2O_2$  100 მლ ნიმუშზე). ბერლინის ლაუვარდის გამოლექვის შემდეგ ნიმუშებში განვსაზღვრეთ ჩეინის საერთო რაოდენობა. მიღებული შედეგები მოცემულია მე-6 ცხრილში.

ანიშნული ცდის ვარიანტში, სადაც სისხლის ყვითელი მარილი მცირე რაოდენობით შევიტანეთ, წარმოიქმნა სრული

აერაციის გავლენა სისხლის უვითელი მარილით დფრის დამტკიცებულების შემთხვევაზე

მარილის დოზი	რეანი მგ/ლ	ერთა- რები	ლაქმატა სუმ მგ/ლ	დარჩე ნის გამოუღებავი რეანი მგ/ლ		
				გაუქარავი გაქარული	H <sub>2</sub> O <sub>2</sub> დამატებული	
1.	10,0	I	40	4,6	4,2	3,1
		II	20	7,0	7,2	7,5
2.	15,3	I	70	5,2	4,1	3,8
		II	35	6,1	6,8	7,2
3.	17,8	I	95	6,2	5,1	4,6
		II	47	8,7	9,3	9,7
4.	19,6	I	105	7,2	6,4	5,4
		II	52	9,3	10,0	10,3
5.	23,0	I	130	7,7	6,0	5,9
		II	75	8,8	9,0	9,5
6.	26,0	I	150	6,3	5,6	4,5
		II	75	8,7	9,1	9,2
7.	18,4	I	100	5,0	3,8	2,9
		II	50	7,2	7,5	7,7
8.	11,0	I	50	5,1	4,6	3,2
		II	25	8,0	8,5	8,9

მარილი, რომელის დაუაწევა მოითხოვს სისხლის უვითელი მარილის დამატების, ამიტომ ფეროფერიციანიდის სრული მა-



რილის გამოლექვისას ჩემი უფრო ნაკლებად შემცირდა, კი ამ მარილის დაეანგვის შემდეგ. ერთ-ერთ ერთ კარგელ ვარიანტში, სადაც სისხლის ყვითელმომზრდების მარავა კარგ დიდი რაოდენობით იქნა შეტანილი, წარმოიქმნა ორმაგი მარილი. რაღაც ღვინოში ასევე ული ჩემი მარგანული ნაერთები უფრო ნაკლებად არის დისოცირებული, ვიდრე აღნიშნული მარილი, მისი დაეანგვის შედეგად თავისუფლდება ერთი მოლექულა სისხლის ყვითელი მარილი, რომელიც ჩემი დამატებით გამოლექავს.

ასევე ღვინომასალების სისხლის ყვითელი მარილით დამუშავებისას, როცა ღვინოში შეტანილი ფეროციანიდის იონები უფრო მეტია, ვიდრე ჩემი მარგანული თავისუფალი იონები, ორმაგი მარილი წარმოიქმნება. მისი დაეანგვით განთავისუფლებული სისხლის ყვითელი მარილი კი დარჩენილ ჩემი გამოლექავს, რაც თითქოს უფრო ხელსაყრელი უნდა იყოს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ შამპანური ღვინომასალების დასამუშავებლად საჭირო სისხლის ყვითელი მარილის რაოდენობას ისე ანგარიშობენ, რომ ლიტრ ღვინოში 4 მგ ჩემი დარჩეს. დამუშავების შემდეგ დარჩენილი ჩემი ნაწილი როგორ კომპლექსურ ნაერთებში შედის.

თუ ღვინოში სისხლის ყვითელი მარილი საჭიროზე მეტი რაოდენობითაა შეტანილი, ან დამუშავების შემდეგ ევრიტის მარილის დაეანგვის შედეგად დამატებით წარმოიქმნება სისხლის ყვითელი მარილი, იგი მაშინვე ვერ შეიერთებს „დაფარულ“ ჩემი და ამიტომ ღვინოში სისხლის ყვითელი მარილიც იქნება და ჩემი კარგი.

ღრმოთა განმავლობაში ჰაერისაგან იზოლირებულ ღვინოში სამვალენტოვანი ჩემი ორვალენტოვნად აღდგება. ორვალენ-



ტოვანი რეინის რთული ნაერთები კი უფრო ადგილად და  
სოცირდება ორვალენტოვანი რეინის იონებში წარმოქმნის  
და თუ ღვინოში დარჩენილია მცირე ოდენძმით შექმნის  
მარილი, რეინა აუცილებლად შეუერთდება მას.

აქტიური მეავიანობა. ცნობილია, რომ არაორგა-  
ნულ ხსნარებში ბერლინის ლაუვარდის წარმოქმნას ხელს უწ-  
ყობს ზომიერი შემფავება. სისხლის ყვითელი მარილით ღვი-  
ნის დამუშავებისას აქტიური მეავიანობა უნდა განვიხილოთ,  
როგორც ღვინოში რეინის ორგანული ნაერთების დისოცია-  
ციის ხარისხის ერთ-ერთი ფაქტორი.

რეინა ღვინოში ხშირად გვხვდება ნაკლები დისოციაციის  
უნარის მქონე ლითონურ-ორგანული ნაერთების სახით, რო-  
გორიცაა ვაშლმჟავა და ლიმონმჟავა მარილები, კოლოიდურ  
ნაერთებში ტანინთან და ფოსფორმჟავასთან შეერთებული-  
განსაკუთრებით ძალიან ცოტაა თავისუფალი სამვალენტოვა-  
ნი რეინის იონები.

ღვინოში შეტანილი სისხლის ყვითელი მარილი პირველ  
რიგში იონურ ფორმაში მყოფ რეინას უერთდება. არეში იო-  
ნური ფორმების შემცირების შედეგად ირლვევა წინასწორო-  
ბა თავისუფალ და შებოჭილ რეინას შორის, ამის გამო იწყე-  
ბა რეინის იმ ნაერთებიდან გამოყოფა, რომელთა დისოცია-  
ციის ხარისხი უფრო მაღალია. სისხლის ყვითელი მარილი აზ-  
ლევს რეინის კომპლექსულ ნაერთებს, თვითონ იერთებს  
რეინას, წარმოქმნის უსსიაღ ნაერთებს და ღვინიდან გამო-  
ლექება.

სისხლის ყვითელ მარილთან რეინის შეერთება მით უფრო  
სწრაფად ხდება, რაც უფრო დისოციაციის უნარის მქონე ნა-  
ერთებში იქნება წარმოდგენილი რეინა. რეინის კომპლექსუ-

ხი ნაერთების დისოციაციაზე მოქმედ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს აქტიური მეავიანობა წარმოადგენს. კრეატუფრულუ მეტება pH მით მეტია დისოციაციის ხარისხუ და ჰიტროზონუ ე. ა. ჩაც უფრო მაღალია pH მით მეტი რაოდენობით იქნება „დაფარული“ ჩაინა.

სისხლის ყვითელი მარილით შეიმე ლითონთა უხსნადი ნაერთების წარმოქმნაზე აქტიური მეავიანობის გამოსარცვევად საცდელ მასალად ავიღეთ ღვინო, რომლის pH 3,2 იყო, რკინის საერთო რაოდენობა კი—27 მგ/ლ. აქედან, 16,2 მგ/ლ — სამვალენტოვანი, 10,8 მგ/ლ — ორვალენტოვანი. ღვინო გავყავით ხუთ ულუფად. პირველ და მეორე ულუფას ღვინომედიას დამატებით შევუმცირეთ pH (3,0 და 2,8). მესამე ულუფა დავტოვეთ უცვლელად; მეოთხე და მეხუთე ულუფის pH 0,1 ნორმალობის კალიუმის ტუტის დამატებით 3,5 და 3,8-მდე გავზარდეთ. ამჩიგად, მივიღეთ ერთი და იგივე შედგენილობის სხვადასხვა ტიტრული და აქტიური მეავიანობის მქონე ხუთი ვარიანტი. ამ ლვინოებს დავუმატეო ტანინი, ჟელატინი და სისხლის ყვითელი მარილი ისეთი რაოდენობით, რომელსაც შეეძლო 23 მგ/ლ რკინის შეერთება. თითოეული გავანაწილეთ ათ-ათ სინჯარაში და დროის განსაზღვრულ მონაცემში გაფილტვრის შემდეგ მათში შებოჭილ რკინას ვსახლვერავდით (მე-7 ცხრილი).

როგორც ცხრილიდან ჩანს, სისხლის ყვითელ მარილსა და რკინას შორის რეაქციის სისწრაფე ღვინის აქტიურ მეავიანობაზეა დამოკიდებული: ჩაც უფრო ძლიერია ღვინის მეავიანობა, მით სწრაფად წარმოიქმნება უხსნადი ნაერთები და პირქით.

სასურველია, რომ ლვინოში შეტანილი მარილი სწრაფად

აქტიური გავითანობის გავლენა რეინასთან სისხლის კუნძულურ ცის  
მარილის შეცროვის სისწრავიზე ტიპური მიმღებები

მარილის კუნძულის დაცვის მარტივი სიმძლივი და დაცვის მარტივი სიმძლივი (ლილი და დაცვის მარტივი სიმძლივი)	სისხლის ყვითელი მარილის მიერ შებოჭილი რეინის რაოდენობა									
	pH-2,8	pH-3,05	pH-3,2	pH 3,5	pH-3,8	pH-2,8	pH-3,05	pH-3,2	pH 3,5	pH-3,8
	მგ/ლ	%	მგ/ლ	%	მგ/ლ	%	მგ/ლ	%	მგ/ლ	%
0,5	22,0	81,1	21,6	79,2	20,2	75,0	16,3	60,4	12,1	44,8
1,0	22,8	84,4	22,6	82,2	21,4	79,2	17,2	63,7	13,8	51,1
2,0	—	—	—	—	22,0	81,5	19,4	71,8	15,4	57,0
3,0	—	—	—	—	22,9	85,0	21,0	77,7	16,5	61,0
5,0	—	—	—	—	—	—	21,6	79,2	17,7	65,5
6,0	—	—	—	—	—	—	21,8	80,8	18,6	68,9
8,0	—	—	—	—	—	—	22,8	84,4	19,1	70,8
10,0	—	—	—	—	—	—	—	—	20,6	76,2
12,0	—	—	—	—	—	—	—	—	21,6	82,2
15,0	—	—	—	—	—	—	—	—	22,3	83,3

შეცერთდეს ლითონებს, მაგრამ ასევე საჭიროა წარმოქმნილი ნაცრობის ღეინიდან მთლიანად და სწრაფად გამოლექვა, რაზეც მნიშვნელოვან გავლენას ღვინის აქტიური მეავიანობა ახდენს. ამ საკითხის დასადასტურებლად ერთი და იგივე შედეგების ღვინომასალა დავყავით რამდენიმე ულუფად და pH ხელოვნურად მივიყვანეთ 2,2; 2,3; 2,5; 2,8; 3,0; 3,3; 3,5; 3,8-მდე. მიღებული ნიმუშები დაეამუშავეთ ერთი და

ივივე რაოდენობის სისხლის ყვითელი მარილით და დაფარულ  
ნეთ მის სრულ გამოლექვამდე.

აღნიშნულ ნიმუშებში ბერლინის ლაუვარდის კუტენებულ  
სწრაფად და ხარისხოვნად 3,0-დან 3,3-მდე ცალი და საჭირო კუდი  
ლეინოებში გამოილექება, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ბერ-  
ლინის ლაუვარდის და სისხლის ყვითელი მარილის სხვა ნა-  
ერთებიც დაბალ pH-ზე უფრო აღვილად იხსნებიან, ვიდრე  
მაღალ pH-ზე.

ინსტრუქციის თანახმად, ლვინომასალების კონდიციამდე  
მიყვანის მიზნით დაშვებულია სისხლის ყვითელი მარილით  
ლეინის დამუშავების დროს ლიტრზე 2 გრამის რაოდენობით  
ლიმონმევას მიმატება. სისხლის ყვითელი მარილით მაღალი  
მედიანობის ლეინოების დამუშავებისას ლიმონმევას დამატე-  
ბა ხელს შეუშლის ბერლინის ლაუვარდის გამოლექვას, ამი-  
ტომ მისი შეტანა არასასურველია.

გამწებავი ნივთიერებანი. ლვინოში სისხლის  
ყვითელი მარილის შეტანის შედეგად წარმოქმნილი ნაერთე-  
ბის გამოლექვის დაჩქარებისათვის სასურველია მარილთან  
ერთად სხვა რომელიმე გამწებავი ნივთიერების (თევზის წე-  
ბო, ეკლატინი, ასკანგელი და სხვა.) შეტანა. ამ შემთხვევაში  
გამწებავი ნივთიერება აჩქარებს ბერლინის ლაუვარდის კო-  
ლოიდების გამოლექვას, მნიშვნელოვნად აღიდებს ამ კოლოი-  
დების ზედაპირს და სისხლის ყვითელი მარილის, როგორც  
გამწებავი ნივთიერების, გამოყენების ეფექტს ზრდის.

ლვინის დამუშავებისათვის ღიღი მნიშვნელობა აქვს გამ-  
წებავი ნივთიერების შეჩრევას. ტანინით მდიდარი ლვინოების  
დასაწმენდად უფრო ხშირად ელატინს მიმართავენ, ხოლო  
მსუბუქი, ევროპული ტიპის თეთრი ლვინოებისა და შამპანუ-

რი ღვინომასალების გაწებვისათვის თევზის წეპოს ბმართობენ. ხშირად იყენებენ ბენტონიტოვან თიხებსაც, ჭრისას უფრო მაღალი გელს. შამპანური ღვინომასალების დამუშავების შესწავლის მიზნების უკითელ მარილთან ერთად შეტანილი გამწებავი ნივთიერებებით გამოწვეული ქიმიური ცვლილებების შესწავლის მიზნით ღვინომასალა დავყავით 6 ნაწილად და მე-8 ცხრილის მიხედვით დავამუშავეთ (მე-8 ცხრილი).

გამოიჩვევა, რომ ცხრილში აღნიშნული ვარიანტებით დამუშავებული ღვინის ქიმიური შედგენილობა ძირითადად იგვევე რჩება. უმნიშვნელოდ იცვლება საერთო აზოტი, ძლიერ მცირდება რკინა. სისხლის ყვითელი მარილით ღვინის დამუშავების დროს წარმოქმნილი ფეროციანიდის კოლიდებს უხსნადი აზოტოვანი ნაერთების აფსორბციისა და გამოლექვის უნარი აქვს. განსაკუთრებით შესამჩნევია საერთო აზოტის შემცირება სისხლის ყვითელი მარილითა და ასკანგელით ღვინის დამუშავებისას. აზოტოვანი ნივთიერებების შემცირება თვით ღვინის ბუნებაზე და შეტანილი ასკანგელის რაოდენობაზე დამოკიდებული.

ცდის მეორე ვარიანტში სისხლის ყვითელი მარილითა და უელატინით ღვინის გაწებვის შედეგად შეიმჩნევა საერთო აზოტის ზრდა, რაც შეტანილი უელატინის ღვინოში დარჩენით უნდა აიხსნას.

ცნობილია, რომ აზოტით მდიდარი ღვინოები ამღვრევისაგან დაზღვეული არ არის. უელატინით შამპანური ღვინომასალების გაწებვით არათუ მცირდება საერთო აზოტი, არა-მედ ზოგიერთ შემთხვევაში მატულობს. გარდა ამისა, უელატინით გაწებვა უარყოფითად მოქმედებს თეთრი მსუბუქი ღვინოების გემოზე, ამიტომ მისი გამოყენება შამპანური და

နေပါဒရုပ်သူများ  
အကျဉ်းလျော့နှင့် အကျဉ်းလျော့ လွှာဝန်ဆေ အနေဖြင့်  
လူမှာ လျော့နှင့် မြှေးမြှေးများ  
ပြည်တွင် ပေါ်လေ့ရှိခဲ့သူများ

လျော့နှင့် လျော့များ	ပြုစေ	လျော့နှင့် ဂျမှိုးပေးသွား ပို့ဆောင်ရေး					လျော့ နှင့် လျော့ များ	လျော့
		ပုံမှန်	ပုံမှန်	တွေ့ဆုံး	ပေးလှာ	ပုံမှန်- လျော့		
လျော့	ပုံမှန်- လျော့	—	—	—	—	—	176	14,3
	I	10	2	3	—	—	170	2,6
	II	10	2	—	3	—	182	2,5
	III	10	—	—	—	—	176	2,5
	IV	10	—	—	—	40	16	2,1
ပို့ဆောင်	V	10	—	—	—	80	153	2,1
	ပုံမှန်- လျော့	—	—	—	—	—	218	12,1
	I	9	2	3	—	—	212	3,1
	II	9	2	—	3	—	208	3,1
	III	9	—	—	—	—	212	3,2
ပို့ဆောင်	IV	9	—	—	—	40	212	3,0
	V	9	—	—	—	80	211	2,9
	ပုံမှန်- လျော့	—	—	—	—	—	208	7,5
	I	10	2	3	—	—	198	2,1
	II	10	2	—	3	—	198	2,2
ပို့ဆောင်	III	10	—	—	—	—	198	2,5
	IV	10	—	—	—	40	188	1,5
	V	10	—	—	—	80	182	0,8

ევროპული ღვინოშასალების დამუშავებისას შიზანშეეტორე  
ლია.

თევზის წებოს გამოყენებისას ბერლინის ფრანგული ტექნიკური კოლეგია 20—25 ღლეს გრძელდება, ასკანგელის საშუალებით კი 12 ღლეში მთავრდება.

სისხლის ყვითელ მარილთან ერთად ასკანგელის გამოყენებას უარყოფითი მხარეც აქვს. სახელდობრ, ღვინოში შეტანილი ასკანგელი სწრაფად კოაგულირდება და მაშინ იწყებს გამოლექვას, როცა მარილის მოქმედება ჯერ კიდევ ას არის დამთავრებული. ასკანგელის გამოლექვის შემდეგ წარმოქმნილი ბერლინის ლაუვარდის კოლოიდების სენტრალია უფრო ნაკლები სისწრაფით მიმდინარეობს და ამის გამო ლურჯი ფერის კოლოიდები დიდი ხნის განმავლობაში დაუღექვად რჩება ღვინოში.

სისხლის ყვითელი მარილითა და ასკანგელით ღვინის მესამე ნიმუშის დამუშავებისას რკინის რაოდენობა 2,8-დან 1,5 მგ/ლ-მდე მცირდება, სისხლის ყვითელ მარილთან ერთად თევზის წებოთი დამუშავებისას კი — მხოლოდ — 2,1 მგ-მდე. სისხლის ყვითელი მარილითა და ასკანგელით ღვინის დამუშავებისას რკინის რაოდენობის ასეთი შემცირება გამოწვეული უნდა იყოს ასკანგელის მოქმედებით. ცნობილია, რომ ბენტონიტოვანი თიხებით გაწებვის შედეგად ღვინოში რკინის ლიტრზე 1—8 მგ-ით მცირდება. რკინის შემცირება ამ შემთხვევაში დამოკიდებულია თვით ღვინის ბუნებაზე. რკინა დიდი რაოდენობით მცირდება მაშინ, თუ იგი უსნად ნაერთებია წარმოდგენილი. წინასწარ გაწებილ და შემდეგ გაფილ ტრაქულ ღვინოში რკინის შემცირება ასკანგელით გაწებვისას სრულიად არ შეიმჩნევა.

სისხლის ყვითელ მარილთან ერთად შეტანილი ასკანგელი გაშინვე იწყებს გამოლექვას, თან წარიტაცებს რტენტული შეცეტული დიდი ზომის კოლოიდებს და ღვინოში რტენტული შეცეტული ნერად ამცირებს.

როგორც აღვნიშნეთ, სისხლის ყვითელ მარილსა და რკინს შორის რეაქციის დამთავრება გარკვეულ დროს მოითხოვს. თუ მის დამთავრებამდე შევიტანეთ ასკანგელი, მაშინ რეინა ზედმეტად შემცირდება და ღვინოში ჰარბი სისხლის ყვითელი მარილი დარჩება.

რეინის შემცირება ამღვრეულ ღვინოებში თევზის წებოთი და კელატინით გაწევდვის დროსაც შეიძინევა, მაგრამ სისხლის ყვითელ მარილთან ერთად გამოყენების დროს მათი როლი რეინის გამოლექვაში ნაკლებია. ასკანგელთან შედარებით კელატინისა და თევზის წებოს კოლოიდების გამსხვილება და გამოლექვა უფრო ნელი მიმდინარეობს, კიდრე სისხლის ყვითელ მარილთან რეინის შეერთება. სისხლის ყვითელი მარილი ასწრებს შეიერთოს თავისი წილი რეინა და წებოსა და კელატინს მხოლოდ ღვინის ამმღვრევ ნაწილაკებთან ერთად შერლინის ლაუვარდის კოლოიდების გამოლექვა უზღდება.

ტემპერატურა. სისხლის ყვითელი მარილით დამუშავების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოსა და ღვინის ტემპერატურას. სხვადასხვა ტემპერატურის მქონე ღვინომასალების დამუშავებამ გვიჩვენა რომ ღვინის დაწმენდა უვილაშე უკეთ  $10-15^{\circ}$ -ზე მიმდინარეობს.

ღვინო ყოველთვის ისწრაფვის მიიღოს იმ გარემოს ტემპერატურა, რომელშიც თითონ იმყოფება. სითხეში სითბოს გადაცემა კი კონვექციური დინებების საშუალებით ხორციელ-

დება. იმ შემთხვევაში, თუ გარემოს ტემპერატურა ცვალის  
ტემპერატურისაგან განსხვავდება და ლვინოში გაწევდავი ნიკ-  
თიერებაა შეტანილი, წარმოქმნილი სითხის უკიდურესი ცალკეული  
დინების გამო ლვინის დაწმენდა ძნელდება. უქიდურესი ცალკეული  
ბით ნათლად ჩანს სისხლის ყვითელი მარილით დამუშავებულ  
ლვინოში ღურჭი ფიფქების უწესრიგო მოძრაობით, რაც  
ხელს უშლის კოლოიდების გამოლევებს და ლვინის დაწმენ-  
დას. ზოგ შემთხვევაში ნაცვლად იმისა, რომ ბერლინის ლაქ-  
ვარდის კოლოიდები ჭურჭლის ფსკერზე დაილექოს, ლვინის  
ზედაპირზე იყრის თავს.

სისხლის ყვითელი მარილით დამუშავების დროს ისევე,  
როგორც თევზის წებოთი ან უელატინით ლვინის გაწებვისას,  
დამცავი კოლოიდები ეწინააღმდეგება სიმღვრივის გამომწვე-  
ვი კოლოიდების ფლოულაციას. პროტეინების, პექტინებისა  
და ლორწოვანი ნივთიერებების კოლოიდები გარს ეკვრის  
ბერლინის ლაქვარდის კოლოიდებს და ხელს უშლის ნალექის  
წარმოქმნას. დამცავი კოლოიდების მოქმედებით რეაქცია  
სწრაფად არ ხდება და იმის გამო შეიძლება, ლვინოში თავი-  
სუფალი დარჩეს როგორც რკინა, ისე სისხლის ყვითელი მა-  
რილი. ამიტომ სასურველია, დასამუშავებელი ლვინო რაც  
შეიძლება ნაკლებ დამცავ კოლოიდებს შეიცავდეს. სისხლის  
ყვითელი მარილით დამუშავება მით უკეთ მიმდინარეობს,  
რაც უფრო გასუფთავებულია ლვინო მექანიკური და კოლო-  
იდური სახის სიმღვრივისაგან.

როგორც ცნობილია, ლვინო ბიოლოგიური სითხეა. მასში  
გამუდმებით მიმდინარეობს ბიოქიმიური გარდაქმნები, რასაც  
თან სდევს თვისობრივი ცვლილებები: ლვინო იმღვრევა და  
გამოყოფს ნალექს. ბიოქიმიური გარდაქმნების შეჩერები

შეუძლებელია, მაგრამ მათი შენელებისათვის მრავალი მე-  
ოდი არსებობს. ამ მეთოდებს მიეკუთვნება სისქლის, ყველების ॥  
ლი მარილით ღვინიდან ჭარბი ლითონების გამოლემბა, გრა-  
ფილებების გარეშე ამ მარილის გამოყენებით ღვინის ტაცვა-  
მღვრევისაგან შესაძლებელია იმ შემოხვევაში, თუ გათვა-  
ლისწინებულ იქნება ის ოპტიმალური პირობები, რომლებიც  
ბერლინის ლაქვარდის კოლოიდების წარმოქმნისა და გამო-  
ლექვის სისწრაფეზე ახდენენ გავლენას.



ა 0 6 1 1 6 6 0

ს ი მ ი ნ ი ლ ი  
ბ ი ბ უ ი მ ი ტ ე ბ ი

შესავალი		3
ზოგადი ნაწილი		5
ლექინის დამტკიცებისათვის სისხლის უკითხელი		
მარილის საჭირო რაოდნების დაზვანა		22
სისხლის უკითხელი მარილით ლექინის დამტკიცების წესი		33
სისხლის უკითხელი მარილით დამტკიცების ლექინის შემოწმება		38
სისხლის უკითხელი მარილით ლექინისათვის ლილონების გამოლექაზე		
მოქმედი ფაქტორები		42

რედაქტორი ა. ნამორაძე, მხატვარი ვ. მერდლიშვილი,  
შესხი, რედაქტორი თ. მესხი, ტექ. რედაქტორი ც. შველიძე,  
კორექტორი გ. ერისთავი, გამომჩევები გ. ბენიძე

გადაეცა წარმოებას 1/XII-69 წ. ბელმოწყერილია დასაბეჭდად 12/IV-71 წ.  
ქალალის ზომა 70X108/ $\frac{1}{2}$ . პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 2,8. სააღრიცხვო-  
საგანმცნებლო თაბაზი 2,21. ტირაჟი 500 შეკვ. № 1635 უე01810  
ფასი 7 კა.

გამომცნებლობა „საბჭოთა საქართველო“,  
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

სახელმწიფო კომიტეტის პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი  
სამსახურის სტამბა № 10. ცხინვალი, მოსკოვის ქუჩა № 5.

Типография № 10 Главполиграфпрома Государственного Комитета  
Совета Министров Грузинской ССР по печати, Цхинвали,  
Московская, 5.



52/17

72673-

საქართველოს კულტურის მუზეუმი



K 40.020/2